

თარგმნა

რომან მიმინოშვილმა

## IV

ხომალდი ეგე, ხედავთ, ყარიზნო,  
ამბობს — გახლდით გემთ უმაღესი,  
გინა მცურავი ხოფების მოსმით,  
გინა მფრინავი სელის აფრებით,  
მე ვასწრებდით მარადის ყველას.  
მოწმეა ქუში აღრიატიკი,  
კიკლადის კუნძულთ სანაპირონი,  
ბრწყინვალე როდოს, ავი თრაკია,  
ყურე პონტოსი და პროპონტიდა.  
სანამ გათლიდნენ, ტყე იყო ხშირი  
მაღალ კვიტორის უღელტეხილზე,  
ფოთოლთ შრიალით ხმას გამოსცემდა.  
პონტოს ამასტრო და ბზით მდიდარო  
კვიტორო! თქვენ ხომ ეს კარგად უწყით. —  
ამბობს ხომალდი, — რომ ოდითგანვე  
თქვენს თხემზე იდგა ხე, თქვენს უბეში  
ჩაეშვა ხოფი და წაიყვანა  
გემმა პატრონი. ხან მარცხენა მხრივ,  
ხან კი მარჯვნიდან ღმუოდა ქარი,  
აფრიალებდა ორსავე აფრას.  
ნაპირის ღმერთებს არ მიმართავდა  
მეოხ-საყოფად. ზღვის მღელვარება  
ტბის მყუდრო ჭავლმა შეცვალა შემდეგ.  
გაქრა დრო ძველი... დღეს მიყუყულა,  
მშვიდად ძველდება და თქვენ გეკუთვნით  
ძმაო კასტორ და ძმავ კასტორისო!



## VI

ფლავიუს, აქამდე კატულუსს შენს სატრფოს  
 კიდევ აჩვენებდი, განა არ შეგეძლო,  
 უშნო, ულაზათო რომ არ ყოფილიყო!  
 მართლაც, მე არ ვიცი, ჩანს ციებიანი  
 ხარჭა გყვარებია: გიმძიმს აღსარება.  
 ღამეებს მარტოკა როდილა ათენებ,  
 ამასვე ღალადებს შენი სანთიობო,  
 სირიულ სუნამოს სურნელით აღვსილი,  
 ბალიშიც ხან აქ და ხან იქ გაგითელავს,  
 საბრალოდ ჭრიალებს ძველი სარეცელიც...  
 ისინი ხვაშიადს ვერ შეგინახავენ,  
 მათ ხომ არ იციან, რა არის სირცხვილი!  
 განა იქნებოდი ასე დაქანცული,  
 იდუმალ ვნებებს რომ არ დანებებოდი?  
 მიაშვე ყოველი, კარგიც და ავიცა,  
 მინდა რომ გიმღერო შენ და შენს სიყვარულს,  
 ცათამდე შეგამკო ნაზი სიმღერებით.

## VII

მკითხავ, თუ შენი რამდენი კოცნა,  
 ჩემო ლესბია, დამიცხრობს ვნებას?  
 — უხვია ქვიშა ლიბიის ბორცვთა,  
 კირენის მხარეს გარს მოევლება.  
 ბატუსის საფლავს, მყუდრო სამისნოს  
 სანაპიროზე უხვად ჰფენია...  
 ღამით იდუმალ აღერსს რომ ისმენს  
 დასი ვარსკვლავთა, რაოდენია!..  
 აი, ამდენი კოცნით რომ მკოცნო,  
 მაშინ დააცხრობ კატულუსს შენა!  
 ველარ დათვალოს კაცმა ეს კოცნა  
 და ვერ დაგესლოს ბოროტმა ენამ!..

## XI

ვიცი, ფურიუს და ავრელიუს,  
 მზად ხართ კატულუსს სდიოთ ინდამდე,  
 სად ზღვა ზავთიან ზვირთებს საზარელს  
 შეახლის ნაპირს.  
 გინდ ვვლიდე მხარეს ჰირკანებისა,  
 არაბთა, საკთა, პართ მოისართა,  
 გინდ — სად შვიდმაგი ნილოს მდინარე  
 ამღვრევს შესართავს,



ვინდ გადავლახო გაღმა ალპები,  
სადაც კეისრის დგას ნიშანსვეტი,  
გალთა რეინი, შორს ბრიტანების  
ზღვა საზარელი —

რასაც მომივლენს მე ბედისწერა,  
მზადა ხართ ჩემთან ერთად გაიყოთ!  
მაშ გადაეცით ჩემს გოგოს სიტყვა  
უკანასკნელი:

დე ეხვეოდეს თავის საყვარლებს  
ერთდამავ დროს სამას-სამასჯერ!  
არვინ უყვარდა, მაგრამ ვინც ჰყავდა,  
გული ჩასწყვიტა...

აწ დაივიწყოს ტრფიალი ჩემი,  
მისი ბრალია — გული დააჭკნო,  
როგორც ყვავილი, გუთნით შემთხვევით  
გადათელილი...

### XIII

გავახშმებ კარგად, ფაბულუს ჩემო,  
ამ ცოტა ხანში, თუ გწყალობს ღმერთი,  
ოღონდ შენ სუფრა გაშალე კარგი,  
პირთეთრი გოგოც მომგვარე ბარემ.  
ღვინოც, სუმრობაც, სიცილ-ხარხარიც  
შენ მოაგვარე... კარგად გავახშმებ.  
დღეს კატულუსის ქისაში მხოლოდ  
ბუდობს ობობას აბლაბუდები.  
სანაცვლოდ მოგცემ სასურველ ჯილდოს,  
უცხო სუნამოს, ნელსაცხებელსა, —  
ჩემს ლამაზ სატრფოს უძღვნეს საჩუქრად  
თვითონ ვენუსმა, კუპიდონებმა.  
სურნელს რა იგრძნობ, ღმერთს შეჰღალადებ,  
რომ მთლად, ფაბულუს, გაქციოს ცხვირად!

### XIV

კალვუს, თვალისჩინს რომ არ მერჩიო,  
უსაყვარლესო, გადაგიხდიდი  
ვიტინიანეს ბოღმით შენს ჯილდოს!  
რა დავაშავე, რა ვთქვი აუგი,  
რომ პოეტების წერა გამხადე?  
ღმერთმა დალახვროს შენი კლიენტი,  
ვინც ასე ურცხვად დაგასაჩუქრა!



თუმც არა!.. თუკი ეგ კობტა ძღვენი  
 სულამ გიბოძა ლიტერატორმა,  
 არა მწყინს, ჩავთვლი თავს ბედნიერად —  
 შენს გარჯას ცუდად არ ჩაუვლია!  
 ღმერთო დიადო! წიგნი საზარი  
 და საძულველი უძღვნეს კატულუსს,  
 რომ მეყსეულად დაღუპონ კიდევც  
 სატურნალიის დღესასწაულზე!  
 არა, არ გარგებს, ფლიდო, ეგ ფანდი:  
 სისხამზე წიგნთა დავივლი დახლებს,  
 ვინმე ცეზიოს, აქვინოსი და  
 სუფენეს შხამებს სულ თავს მოვუყრი  
 და მოწიწებით გიძღვნი სანაცვლოდ!  
 თავიდან მომწყდით, გადამეკარგეთ,  
 რა გზითაც ცუდი ფეხით მოსულხართ,  
 ბუშნო ეპოქის — უშნო პოეტნო!

## XVII

ო, ახალშენო! გინდა ხიდზე იმხიარულო,  
 გინდა იცეკვო, მაგრამ შიში გულს შეგპარვია:  
 დამპალა ხიდი, ნაფოტები ძველ საბჯენებზე  
 ამოჩხერილან და ჭაობში წვება ფულურო.  
 მინდა მიიღო კარგი ხიდი, რაზეც ოცნებობ  
 და სალიური ცეკვით იგი აგიხმაურდეს.  
 მეც მიძღვენ დიდი, ახალშენო, მხიარულება:  
 შენი ხიდიდან ჩვენებური მსურს მოქალაქე  
 ფეხის სავსავით თავდაყირა გადავუძახო  
 ქვემოთ აუზში, დამყაყებულ ჭაობში, სადაც  
 ღრმა უფსკრულია ჭვარტლისფერი და საზარელი.  
 ყოვლად უგნური კაცი არის, უფრო უჭკუო  
 ორი წლის ყრმაზე, მამის ნანამ რომ ძიადინა.  
 ცოლად დაისვა მან ყვავილი ახლად აწლილი,  
 თიკანზე უფრო უნაზესი, ლალი გოგონა.  
 განა თვალს უნდა აშორებდეს ამ უტკბეს მტევანს?  
 ცოლს სეირნობის ნებას აძლევს, თვით ხელს არ  
 ანძრევს,  
 არც კი დაიძვრის, თითქოს ძველი მურყანიაო,  
 ცულით მოჭრილი, ლიგურიის თხრილში ნაგდები,  
 სადაც ვერ აღწევს სიამტკბილე ამქვეყნიური.  
 აი, ასეთი რეგვენია, ვერ ხედავს, ვერ გრძნობს —  
 ვინ არის თვით, ან არის თუ არ, ესეც არ იცის.  
 ამიტომ მინდა, რომ ხიდიდან გადავუძახო,  
 ვინ იცის, იქნებ გამოფხიზლდეს მთვლემარე

ბრიყვი,



ჭაობში ჩარჩეს ჩვეულება საუკულმართო.  
სწორედ ტალახში ჰკარგავს ხოლმე ნალებსაც ჯორი.

## XXII

ვარუს! სუფენუსს იცნობ ღირსეულს,  
ამოდ მოუბარს, ზრდილს და მოხდენილს.  
სხვა სიკეთესთან ერთად ლექსებს წერს,  
ათას ტაეპსა, ათი ათასსაც —  
განა ჩვენსავით ძველ პალიმპსესტზე, —  
მეფურ ქალაღზე, ლამაზ ყდაში სვამს,  
წითელ ღვედს აკრავს საგრაგნელ ჯოხსა,  
ტყვიით დახაზულ ეტრატს აჭრელებს.  
თუ წაიკითხავ, სუფენუს ზრდილი  
მოგეჩვენება თხის ბეჩავ მწყემსად,  
შეუფერებლად გამოიცვლება.  
რად ხდება ასე? ტაკიმასხარად  
რატომ იქცევა მცოდნე ყოვლისა?  
მოუქნელ ბრიყვის სახე ეძლევა,  
როგორც კი მუზას ეზიარება!  
მაინც, როცა წერს, მასზე ნეტარი  
არავინ არის, ხარობს ქმნილებით.  
მართალი რომ ვთქვა, ჩვენც იმას ვგავართ,  
სუფენუსისა ცოტა რამ გვცხია —  
ყველას სისუსტე აქვს საკუთარი,  
მაგრამ ზურგს უკან ვერ ამჩნევს კურტანს.

## XXV

ავხორცო თალუს, კურდღლის ბეწვზე უფრო ფაფუკო,  
ბატის ტვინივით და ობობას ქსელივით ნაზო,  
დუნე და რბილო, ვით ფაქიზი ყურის ბიბილო,  
თანაც უძლები, ვით მრისხანე ზღვის ქარიშხალი,  
მარადიული მყუდროების მომნიჭებელი.  
მომეცი ჩემი პალიუმი, შენ რომ მომპარე,  
მომეც სუდარა სეტაბური, ჩემი ნივთები,  
მამაპაპური განძივით რომ ხალხს აჩვენებდი.  
აბა, კლანჭები მოაშორე და დამიბრუნე,  
თორემ ეგ დონდლო დუნდულები, დუნე სახსრები,  
იცოდე, მალე სამარცხვინოდ გაიშოლტება!  
ამ ჩემს ხელებში აგაცეკვებ შენს უნებურად,  
ვით ქარიშხალში დახტის ხოლმე პატარა გემი.



ბეჩავო რავიდ, ბოროტმა აზრმა  
ჩემი იამბის ქსელში გაგხვია.  
რომელმა ღმერთმა გული ალაგზნო  
უგნური დავის გასაჩაღებლად?  
იქნებ ბრბოს ყბაში გინდა ჩავარდე,  
იქნებ მიელტვი უკვდავ დიდებას?  
მიაღწევ კიდევ: შენ ხომ კატულუსს  
შეჰბედე სატრფოს შესცილებოდი!

## XLIII

სალამი გოგოვ, ცხვირგაბუშტულო,  
უშნოფეხებავ, უშავთვალეხო,  
თითებკოტიტავ, ცივსახიანო,  
აროდეს მზმელო საამო ენით,  
სატრფოვ ბედოვლათ ფორმიანუსის!  
შენ ახალშენმა მშვენად ჩავთვალა?  
შენ შეგადარეს განა ლესბიას?  
ვაი, დროებავ, გონდაკარგულო!..

## LXXII

ადრე ამბობდი — „ვუერთგულეხ კატულუსს მხოლოდ.“  
იუპიტერის, ო, ლესბია, ტრფობაც არ გსურდა.  
როგორ მიყვარდი! უცოდველად და უბოლოოდ, —  
ასეთი გრძნობა მოხუც მამას შვენიის ასულთან.  
ვაი, რომ გიცან! თუმცა უფრო აღიგზნო ვნება,  
გაიაფდი და გამსუბუქდი მიუკარები!  
იცნ, რა მოხდა? — გაცრუებულ გულს შეიძლება  
უფრო სწყუროდე, მაგრამ უკვე არ ეყვარები!..

## LXXXVI

ქვინტიას თვლიან მშვენიერად, მე კი კანთეთრად  
და ტანკენარად. ყველა ნაკვთი ქების ღირსია,  
მაგრამ ვერ ვიტყვი — ტურფაო: მის სილამაზეს,  
დიდებულ სხეულს თვალმცეცხლია ეშნი აკლია.  
მხოლოდ ლესბია არის ტურფა, ყველას მშვენება  
თვით შეიერთა, ულამაზეს ვენუსს მოსტაცა.



მენტულა პარნასზე ცდილობს აცოცებას,  
თუმც მუზა ორკაპით უკან ერეკება...

## CVII

თუკი სურვილი ასრულდება იმედზე მეტად,  
ბედნიერების წამს დალოცავს სული მწყურვალი.  
იდიდე დღეო მშვენიერო, წამო ნეტარო,  
შენ დამიბრუნე კვლავ ლესბიას ტრფობა წარსული,  
ალარ ველოდი ასრულებას და... ამისრულე.  
ო, როგორ მატკბობს სხივოსანი სიცოცხლის შუქი!  
ვინ არის ჩემზე ბედნიერი, რა შემიძლია  
კიდევ მოვთხოვო ამ ცხოვრებას სასიხარულო?!

## მთარბმნელისაგან

გაიუს ვალერიუს კატულუსი, რომაული ლირიკის მშვენიერება დაიბადა დაახლ. 87 წელს ძვ. წ. ა. ჩრდილოეთ იტალიის ქალაქ ვერონაში. ბიოგრაფიული ცნობები მის შესახებ ერთობ ძუნწია. ვიცით, რომ ძირითადად რომში მოღვაწეობდა, 57 წელს პრეტორ მემიუსს ბითვინიაშიც გაჰყოლია. სვეტონიუსის ცნობით კატულუსის მამას ახლო ურთიერთობა ჰქონია იულიუს კეისართან. არსებობს ცნობა, რომ პოეტს უყვარდა პუბლიუს კლავდიუსის დაჟ კლავდია, რომელსაც თავის ლექსებში ლესბიას სახელით მოიხსენიებს. სრულიად ახალგაზრდა, 35 წელს ვერმილწეული კატულუსი გარდაიცვალა რომში დაახლოებით 54 წ. ძვ. წ. ა. მის ცხოვრებაზე სხვა თითქმის არაფერი ვიცით.

ჩვენამდე მოაღწია კატულუსის 116 ნაწარმოებისაგან შემდგარმა პატარა კრებულმა, რომელშიც რამდენიმე ეპილიონი, მცირე ზომის ლირიკული ლექსები და ეპიგრამებია. პოეტის მოღვაწეობა დაემთხვა რომის რესპუბლიკის უკანასკნელ პერიოდს. კატულუსს ნაკლებად იზიდავდა პოლიტიკა, ანტიკური მითოლოგია და მონუმენტური პოეზია. თუ იგი მაინც მიმართავდა მითოლოგიურ სახეებს, ამით ამჟღავნებდა სიმპათიებს უფრო ალექსანდრიული ხანის პოეზიისადმი, ვიდრე ანტიკური ეპოსისადმი.

კატულუსმა დიდი გავლენა მოახდინა შემდგომი დროის რომაულ პოეზიაზე და ახალი დროის ლირიკაზე. მის შემოქმედებას დიდად აფასებდა ალექსანდრე პუშკინი. მან ერთ-ერთი მისი ლექსიც თარგმნა. საინტერესოა, რომ დელვიგისადმი მიწერილ წერილში პუშკინს მოჰყავს კატულუსის საქორწინო ჰიმნიდან მუსიკალური რეფრენი და წმინდა კატულუსისებური იუმორით თითქოს „თარგმნის“ მას: “ჩემო მეგობარო ბარონო, მე არ გავბუტულვარ და დიდი ხნის დუმილი დიდსულოვნად გაპატიე



შენი ჰიმენეას (ქორწინების) გამო: „იო ჰიმენ ჰიმენეე იო, იო ჰიმენ ჰიმენეე“. ე. ი. ეშმაკმა დალახვროს თქვენი ქორწილი, ქორწილი თქვენი დალახვროს ეშმაკმა.“

მის პიროვნებაზე გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ზემოთხსენებული ლექსების პატარა კრებული, საიდანაც ვიგებთ რა უანგაროდ უყვარს კატულუსს მეგობრები და როგორ უყვართ იმათაც კატულუსი, რა საშინელ ტკივილს განაცდევინებს მას მეგობრის ღალატი, როგორ დასცინის პოეტი უნიჭობას, მედიდურობას, უდარდელობას, გარყვნილობას, როგორ განიცდის ხელმოკლეობას, მაგრამ არ კარგავს ხალისს, როგორ ამაყობს თანამემამულის ნიჭით და სიდიადით...

ხალისიანია კატულუსის იუმორი, დაუნდობელია მისი სარკაზმი, დაუშრეტელია მისი სიყვარული. ცოცხალივით წარმოგვესახება პოეტის ლექსებში სატრფო — ლესბია. ეს არის ცხოვრებისაგან განებივრებული, იშვიათი სილამაზის მქონე ქალი, რომელიც მით უფრო გაურბის პოეტს, რაც უფრო მწველად აღიგზნება ტრფობის სახმილი, შემდეგ კვლავ იახლოვებს, უკვე იმედდაკარგულს სიცოცხლეს უცისკროვნებს...

პოეტს ხან სპეტაკი სულიერი თრთოლვა იტაცებს, ხან ვნება ტანჯავს, ხან სიყვარულის საგალობელს უძღვნის სატრფოს, ხან კი შურისძიებით აღგზნებული მიწასთან ასწორებს.

კატულუსის ლექსები არც დათარიღებულია და არც დასათაურებული, გამოცემებში მათ ტრადიციული ნომრები აქვთ, მაგრამ ამას ქრონოლოგიურ თანმიმდევრობასთან არავითარი კავშირი არა აქვს.





პიესა

ინგლისურიდან თარგმნა მანანა ლუმბაძემ

ზღვის ხმა ოდნავ მოისმის. ჰენრის ფეხის ხმა ქვიშაზე. ჰენრი ჩერდება.  
ტალღების ხმაური ძლიერდება.

ჰენრი — იარე! (ტალღების ხმაური. ჰენრი ხმას უწევს) იარე! (დადის. ფეხის ხმა ქვიშაზე) შესდექ! (ჩერდება. ტალღების ხმაური მატულობს) დაჯექი. (უფრო ხმამაღლა) დაჯექი! (კენჭების ხრაშუნი. ჯდება. ისევ ტალღების სუსტი ხმა, ხმა ძლიერდება მხოლოდ მაშინ, როცა ჰენრი ჩერდება) ვინ არის ჩემს გვერდით? (პაუზა) ვიღაც მოხუცი, ბრმა და უგუნური. (პაუზა) მა-მაჩემია, ჩემს შესახვედრად მკვდრეთით აღმდგარი. (პაუზა) თითქოს არც მომკვდარა. (პაუზა) არა, საიქიოდან მობრუნებულა, რომ ჩემთან იყოს, არ უნდა მართლ დამტოვოს უცნობ ადგილას. (პაუზა) თუ ესმის ჩემი? (პაუზა) უთუოდ ესმის. (პაუზა) არ მიპასუხებს? (პაუზა) არა მპასუხობს. (პაუზა) ჩემთან სურს ყოფნა, ამიტომ დაბრუნდა. (პაუზა) ეს ხმაური კი, ზღვის ხმაა მხოლოდ. (პაუზა. უფრო ხმამაღლა) ზღვის ხმაა-მეთქი! (პაუზა. ისევ ხმამაღლა) ნაპირზე ვზივარ. (პაუზა) ამას იმიტომ ვამბობ, ყურს ვერ ენდობი, თვალითაც თუ არ იხილე, რომ ზღვა გამოსცემს ასეთ უცნაურ ხმას. (პაუზა) ფლოქვები! (პაუზა. უფრო ხმამაღლა) ფლოქვები! (ფლოქვების თქარათქური. შემდეგ ღუმილი. პაუზა) კიდევ! (ისევ ფლოქვების ხმა. პაუზა. აღელვებით) ჟამის აღნუსხვა ასწავლე! დაჭედე რკინის ნალებით, ეზოში დააბი, დაე, ტორს ცემდეს საათის რიტმზე თუნდაც მთელი დღე! (პაუზა) მკვდრეთით აღმდგარა ათტონიანი მამონტი. რკინის ნალებით დაჭედე და თავის ნებაზე მიუშვი, დაე, გადაქელოს დედამიწა! (პაუზა) ყური მიუგდე! (პაუზა) სინათლეს მიუგდე ყური, შენ



ხომ გიყვარდა სინათლე! შუადღე ახლახან გადავიდა, ნაპირზე კი ბინდია უკვე და ზღვაც ეული კუნძულივით გარიყულა. (პაუზა) შენ ამ ნაპირზე არასოდეს არ იცხოვრებდი, 'ხენ ხომ მზეგამღვალ წყალში გიყვარდა ბანაობა. მე კი, ავიღე თუ არა შენი დატოვებული ფული, მაშინვე გადმოცურე ზღვა და აქ მოვედი. ეს ხომ შენც იცი. (პაუზა) შენი გვამი ვერ ვიპოვეთ, იმიტომაც იყო, მემკვიდრეობას დიდხანს არ გვიმტკიცებდნენ, გვეუბნებოდნენ, რა იცით, რომ არ მიგატოვათ და ახლა სადმე, თუნდაც, არგენტინაში არ იმალებაო სხვისი გვართ. დედაჩემის მწუხარებას არ ჰქონდა ზღვარი. (პაუზა) რაღაცით გგავარ, შენი არ იყოს, ვერც მე ვცილდები ზღვას. შიგ კი არ შევდივარ. უკანასკნელად მგონი მაინც შენ შემოგყვები. (პაუზა) მხოლოდ მასთან მინდა ვიყო ახლოს. (პაუზა) დღეს რა წყნარია, ხან კი ისე ბობოქრობს, მისი ხმა შინაც მესმის, გზად მიმავალსაც, მისი ღრიალის დასაფარავად ლაპარაკის დროს ხმას აგუწევ ხოლმე, ვერავინ მამჩნევს. (პაუზა) უნდა ვილაპარაკო. ერთხელ, მახსოვს, შვეიცარიაში გავექეცი ამ დაწყევლილს, იქაც სულ თან მდევდა მისი გაბმული ღრიალი, მეც გაუთავებლად ვლაპარაკობდი, მსმენელი არ მყავდა და არც მჭირდებოდა, საკუთარ თავს ვუყვებოდი. ერთი გრძელი ამბავი დავიწყე, ვინმე ბოლტონზე, არც არასდროს დამიმთავრებია, არაფერი არ დამისრულებია ცხოვრებაში. ყველაფერი უსასრულოდ გრძელდება. (პაუზა) ბოლტონი. (პაუზა. უფრო ხმამაღლა) ბოლტონ! (პაუზა) აი, იქ, ცეცხლთან. (პაუზა) ყველა დარაბა... არა, დარაბა არა, ფარდები, სინათლე, არა, სინათლე არა, ცეცხლის ალი მხოლოდ, ბოლტონი ზის... არა, დგას, დგას ცეცხლთან პატარა ხალიჩაზე, საკვამურს მიყრდნობილი, მკლავებში თავჩარგული, დგას ცეცხლის წინ სიბნელეში და ელის, ძველი წითელი ხალათი ჩაუცვამს, ჩამიჩუმიც არ ისმის მთელ სახლში, მხოლოდ შეშა იწვის და ტკაცუნობს. (პაუზა) ასე რომ იდგეს დიდხანს, წითელ ხალათს შესაძლოა ალი მოედოს, ისე, დაუდევარ ბავშვს რომ მოედება ტანსაცმელზე. არა, მგონი, ხალათი კი არა, სულაც პიჟამა ეცვა. ასე დგას ცეცხლთან სიბნელეში და ელის. სინათლე, არა, სინათლე არა, ცეცხლი ბჟუტავს მხოლოდ, არც ხმა ისმის არანაირი, მხოლოდ ნაკვერჩხლების ტკაცუნი, მოხუცი და მისი სევდა. (პაუზა) ზარის ხმა, ფანჯარასთან მიდის და ფარდებს გადასწევს, იხედება, კართან ვიღაცა დგას, ზორბა და ღონიერი, თეთრი ქვეყანა, ყინვა და ჭადარი, თოვლით ტოტებდამძიმებული. ხელი კიდევ ერთხელ იწევს ზარის დასარეკად, ახლა კი სცნობს... ჰოლოვეი... (ხანგრძლივი პაუზა) ჰო, ჰოლოვეი, სცნობს ჰოლოვეის, ჩადის, კარს აღებს. (პაუზა) კარში მდუმარება, ხანგრძლივი სიჩუმე, მხოლოდ ჯაჭვის ჟღარუნი დროდადრო, ან ტოტების ლაწანი, თუ სულგანაბული გაშეშდები და ყურს მიუგდებ. თეთრი ქვეყანა, ჰოლოვეი, პატარა შავი ჩანთით ხელში, მდუმარება, ყინვა, სავსე მთვარე, ჩამცხრალი, თეთრი, ჰოლოვეის არეული ნაკვალევი, ვეგა—ქნარის თანავარსკვლავედის მწვანე და კაშკაშა ვეგა, ვეგა, მწვანე და კაშკაშა. (პაუზა) შემდეგ საუბარი კიბეზე, არა, კიბეზე არა, ოთახში, საუბარი ოთახში შებრუნებისას, ჰოლოვეი: „ჩემო ბოლტონ, შუადამეა უკვე, თუ შეგიძლია...“ აღარ აგრძელებს, ბოლტონი: „რა თქმა უნდა, გთხოვ! გთხოვ!“ სამარისებური სიჩუმე, ჩამიჩუმი არ ისმის, მხოლოდ ცეცხლის ხმა, ნაკვერჩხლები, თითქმის ჩანავლული ნაკვერჩხლები, ჰოლოვეი ხალიჩაზე ცეცხლთან,



გვერდების გათბობას ცდილობს, ბოლტონი, სად არის ბოლტონი, ბნელა, ცეცხლი ბჟუტავს მხოლოდ, ბოლტონი ფანჯარასთან დგას, ოდნავ გამოუდია და გარეთ იყურება, თეთრი ქვეყანა, ალსაც ფერი დაუკარგავს, მიმქრალა, გათეთრებულა, უჩვეულო სიჩუმე სახლში, მდუმარება, მხოლოდ ნაკვერჩხლების ტკაცუნი, ალიც მიმქრალა, მხოლოდ ნაკვერჩხლები. (პაუზა) ნაკვერჩხლები. (პაუზა) ქანცგაცლილი, დაოსებული ნაკვერჩხლები, ძლივსღა ბჟუტავენ, სულს ღაფავენ. საზარელი ხმით. ჰოლოფეი ისევ ხალიჩაზე დგას. სასაცილო, აწოწილი, ჩაფსკვნილი, ფეხებგაშლილი, წელზე ხელებდაწყობილი. ბოლტონის ზორბა, ბებერი ტანი, ძველ, წითელ ხალათში, ისევ ფარდებისკენ მიბრუნებული. ჭუჭრუტანაში იყურება თეთრი ქვეყანა, დიდი სევდა, მდუმარება, მხოლოდ ნაკვერჩხლები, თაკარის მიღებული, სუსტი წკრიალი. ჰოლოფეი, ბოლტონი, ბოლტონი, ჰოლოფეი, დიდი სევდა, თეთრი ქვეყანა, მდუმარება. (პაუზა) ყური მიუგდე! (პაუზა) თვალები დახუჭე და ყური მიუგდე, აბა, რა არის? (პაუზა. ხმამაღლა) წვეთი! კიდევ! (წვეთის დაცემის ხმა თანდათან მატულობს. უცებ წყდება) კიდევ ერთხელ! (ისევ წვეთის დაცემის ხმა, ხმა ისევ ძლიერდება) კმარა! (ხმა წყდება. პაუზა) მამა! (პაუზა. გაღიზიანებული) ისევ მოგონება, ამბები, გაუთავებელი, დაუსრულებელი ამბები, ვიდრე ვილაც არ დამჭირდა, სულ ერთია ვინ, თუნდაც უცნობი, ჩემთან რომ დადგეს, მელაპარაკოს, თავის მოსატყუებლად, ვითომ მისმენს, და ასე დიდხანს, წლების მანძილზე, შემდეგ კი, ახლა, ვილაც ვინც... აღრე მიცნობდა, იცის რა ვიყავი, თუნდაც მომაჩვენოს, რომ ესმის ჩემი, რომ ხედავს სადამდე დავედი. (პაუზა) სულ წყლის ნაყვანა. (პაუზა) აქ მით უმეტეს. (პაუზა) აბა, კიდევ სცადე. (პაუზა) თეთრი ქვეყანა, მდუმარება. (პაუზა) ჰოლოფეი. (პაუზა) ჰოლოფეი ამბობს მივდივარო, ფუი! აი, ასე თუ იჯდა მთელი ღამე ჩაშავებულ ღუმელთან, კარში უხმობენ, ძველი მეგობარი, სიბნელესა და სიციფეში, ძველი მეგობარი, წამალივით სჭირდება, რალაც ჩანთა მოუთრევია, უსიტყვოდ მიდის, არავითარი ახსნა-განმარტება, არავითარი სიტბო, აღარც სინათლე, ბოლტონი: „გთხოვ! გთხოვ!“ ჰოლოფეი, არც მასპინძლობა, არც თბილი სიტყვა, თავდაც გათოშილია, სიკვდილის პირასაა, ვერაფერი გაუგია, უცნაური შეხვედრაა, ძველი მეგობარი, ამბობს მივდივარო, არც ინძრევა, ჩამიჩუმიც არ ისმის, ღველფი ინავლება, თეთრი სხივი შემოდის ფანჯრიდან, შემაზრუნენი სურათია, ნეტავი აქ რამ მოიყვანა! რაში დასჭირდა? ცეცხლი ჩაკვდა, გამჭოლავი სიციფე, დიდი სევდა, თეთრი ქვეყანა, მდუმარება, რა ეშველება? (პაუზა) არაფერი. (პაუზა) აღარ შემიძლია. (პაუზა) ყური დაუგდე! (პაუზა) მამა! (პაუზა) ვეღარც კი მიცნობ უკვე, რად გავაჩინეო იტყვი, ერთხელ ხომ ინანე უკვე, „უჯიშო“, აი, რა გავიგონე შენგან უკანასკნელად, „უჯიშო“. (პაუზა. მამამისის ხმას ბაძავს) „აღარ მოდიხარ საბანაოდ?“ „არა“. „წამო, წამო“. „არა“. შემდეგ შენი დაბღვერილი გამოხედვა, ნაბიჯი კარისკენ, შემოტრიალება, ისევ ბღვერა. „უჯიშო ხარ, მეტი არაფერი!“ (კარის ჯახუნი. პაუზა) კიდევ! (ჯახუნი. პაუზა) სიცოცხლესაც აი, ასე მიუჯახუნე კარი! (პაუზა) „უჯიშო“ (პაუზა) ნეტავი იმას მაინც ჰყოლოდა! (პაუზა) ადას არ მოსწრებინარ? არა?



აღარ მახსოვს, თუ მოესწარი, ანდა რა მნიშვნელობა აქვს, ახლა მაინც ვეღარ იცნობდი. (პაუზა) როგორ გგონია, რად გადამეკიდა ასე, ბავშვის გამო ალბათ, ნეტავ არც გაგვიჩნოდა ის ღლაპი, ვასეირნებდი ხოლმე მღვლოზე. დმერთო, როგორი წამება იყო, ხელს არ მიშვებდა, მე კი გიჟივით მიხდოდა ლაპარაკი, „ედი, წადი, ბატკანს ეთამაშე“, — ვეხვეწებოდი. (ედის ხმას ბაძავს) „არ მინდა“. (გაბრაზებული) „წადი, ედი, წადი!“, „არ მინდა“. (მკაცრად) „წადი, რომ გეუბნებიან, და ბატკანს ეთამაშე!“ (ედის გაბმული ზღუქუნი. პაუზა) მერედა, ადა... მასთან ლაპარაკი, ეს უარესი წამება იყო. ხანმოკლე საუბარი, ტიტინი, ევროტის რაკრაკს რომ წააგაფს, ისეთი, გულთბილი საუბარი, წარსული დღეების გახსენება, როდესაც ორივე სიკვდილზე ვოცნებობდით. (პაუზა) საუბარი მარგარინის ფასებზე, ორმოცდაათი წლის წინანდელ ფასებზე (პაუზა) და ახალი... (აღვზნებული ხმით) ბლუბანდის<sup>1</sup> ფასზე! (პაუზა) მამა (პაუზა) რამდენი მიხვტიალია შენთან ერთად მთებში, სულ ასე გელაპარაკები, გელაპარაკები, მერე ვდუმდები, და შინ ვბრუნდები, რომ თვეობით ხმა არ გავიღო. საცოდავი, კუდაბზიკა ნაბიჭვარი. ამას ხომ სიკვდილი სჯობს, სიკვდილი. (ღრმა პაუზა) ადა... (პაუზა) ადა!

ადა — (შორეული სუსტი ხმა ზღვის სიღრმიდან) ჰო.

ჰენრი — დიდი ხანია აქა ხარ?

ადა — ცოტა ხანია. (პაუზა) რად გაჩუმდი, ყურადღებას ნუ მაქცევ. (პაუზა) თუ გინდა, წავალ. ედი სად არის?

ჰენრი — მუსიკის მასწავლებელთან. (პაუზა) დამელაპარაკები დღეს?

ადა — ცივ ქვაზე ნუ ზიხარ. ხომ იცი, არ შეიძლება. ცოტა წამოიწიე, შალს დაგიფენ. (პაუზა) ასე უკეთესია, არა?

ჰენრი — რა თქმა უნდა, რა შედარებაა. (პაუზა) ჩემს გვერდით ხომ არ ჩამოჯდები?

ადა — ჩამოვჯდები. (ჯდება. ჩქამიც არ ისმის) ასე? (პაუზა) ეგებ ასე გირჩენია. (პაუზა) თუ შენთვის სულ ერთია. (პაუზა) ალბათ, აქ ძალიან გრილა, თბილი საცვალი თუ გაცვია? (პაუზა) თბილი საცვალი თუ გაცვიამეთქი, ჰენრი?

ჰენრი — იცი რა, ჯერ ჩავიცვი, მერე გავიხადე, მერე ისევ ჩავიცვი, ისევ გავიხადე, ჩავიცვი, გავიხადე, თავიდან ჩავიცვი, კიდევ გავიხადე, ჩავიცვი და...

ადა — ახლა თუ გაცვია?

ჰენრი — არ ვიცი. (პაუზა) ფლოქვები! (პაუზა. ხმას უწევს) ფლოქვები!.. (ფლოქვების თქარათქური, შემდეგ უცბად წყდება, დუმილი) კიდევ ერთხელ! (იგივე მგორდება. შემდეგ წყდება. პაუზა).

ადა — გაიგონე?

ჰენრი — კარგად ვერა.

ადა — ვერც ჰენება?

ჰენრი — ვერა. (პაუზა) ცხენს დროის აღნუსხვა თუ შეუძლია? (პაუზა).

ადა — არ მესმის, რას გულისხმობ.

<sup>1</sup> მარგარინის სახეობა.



პ ე ნ რ ი — (გალიზიანებული) აი, თუ შეიძლება ცხენი ისე გაიწვრთნას, რომ იდგეს მთელი დღე თავისთვის და ოთხივე ფეხით მხოლოდ დროს ითვლიდეს რიტმულად.

ა დ ა — აა... (პაუზა) მე რაც ცხენები მინახავს, ყველა სწორედ ასე იდგა და დროს ითვლიდა. (იციინის. პაუზა) გაიციინე, ჰენრი, გაიციინე, ყოველდღე კი არ ვხუმრობ. (პაუზა) გაიციინე, ჰენრი, ჩემი ხათრით მაინც გაიციინე.

პ ე ნ რ ი — გინდა გავიციინო? მე?

ა დ ა — დრო იყო, ისე გემრიელად იციინოდი. პირველად სწორედ მაგითი მოვიხიბლე, შენი სიცილით და გალიმებით. (პაუზა) მოდი, ძველი დრო გავიხსენოთ, ეგებ ახლაც გამოვიდეს რამე. (პაუზა. ცდილობს გაიციინოს. ვერ ახერხებს).

პ ე ნ რ ი — სჯობს ღიმილით დავიწყებ. (პაუზა. იღიმება) მოგწონს? (პაუზა) ახლა კი თავიდან დავიწყოთ. (გაბმული, საზარელი ხარხარი) როგორია, ჰგავს ძველებურს?

ა დ ა — ო, ჰენრი! (პაუზა).

პ ე ნ რ ი — ყური მიუგდე! <sup>1</sup> (პაუზა) ალერსი და გესლი (პაუზა) გაშორდი! ისე, რომ ვერ მოგწვდეს, ვერ მოგეკაროს! პამპასები! რა?

ა დ ა — დაწყნარდი.

პ ე ნ რ ი — და მაინც მასთან ახლოს ვცხოვრობ! რა მაიძულებს? სამსახურებრივი მოვალეობა? (ხანმოკლე სიცილი) ჯანმრთელობა? (ხანმოკლე სიცილი) ცოლქმრული უღელი? (ხანმოკლე სიცილი) ქალი? (ისევ სიცილი. ამჯერად ადაც შეუერთდა) ძვირფასი საფლაფი, მიტოვება რომ მიჭირს? (პაუზა) ყური მიუგდე! აბა, რას გაგონებს?

ა დ ა — ოდესღაც გაგონილ ხმას. (პაუზა) სხვა დროს გაგონილს, ოღონდ ამავე ადგილას. (პაუზა) მაშინ ღელავდა, შხეფები გვცემდა სახეში. (პაუზა) საოცარია, მაშინ ღელავდა. (პაუზა) ახლა რა წყნარია. (პაუზა).

პ ე ნ რ ი — ადექი, წავიდეთ!

ა დ ა — წავიდეთ? სად? მერე და ედი? რომ მოვიდეს? ხომ იცი, როგორ ეწყინება, თუ გაიგო, რომ უიმისოდ წახვედი. (პაუზა) რატომ აგვიანებს?

(პიანინოზე სახაზავის ძლიერი დარტყმის ხმა. თითებათრთოლებული ედი მაჟორულ გამას უკრავს გაშლილად. ხელებიც ჯერ ერთად აქვს, მერე შლის. პაუზა).

მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი — (იტალიური კილოთი) სანტა სესილია! (პაუზა).

ე დ ი — შეიძლება, ახლა შოპენი დავუკრა?

(პაუზა. მუსიკის მასწავლებელი სახაზავით პიანინოზე ვალსის ორ ტაქტს ითვლის. ედი უკრავს შოპენის მეხუთე ვალსის პირველ ორ ტაქტს. მუსიკის მასწავლებელი სახაზავს რიტმულად აკაკუნებს. მეხუთე ტაქტის ბანის გასაღების პირველ აკორდში ედი ფას ნაცვლად მის იღებს. პიანინოზე სახაზავის გაბმული კაკუნი. ედი წყვეტს დაკვრას).

მ ა ს წ ა. — (ხმამალლა) ფა!

<sup>1</sup> ზღვას.



- ედო — (ცრემლმორეული) ბატონო?
- მასწ. — (ისევ ხმამაღლა) ფა, ფა!
- ედო — (ცრემლმორეული) სად?
- მასწ. — (მკაცრად) სად და... (თითოთ ნოტზე უჩვენებს) ფა!  
(პაუზა. ედი თავიდან იწყებს. მუსიკის მასწავლებელი ისევ ტაქტს ითვლის სახაზავით. მესუთე ტაქტში ედი იგივე შეცდომას იმეორებს. სახაზავის ძლიერი კაკუნი პიანინოზე. ედი აღარ უკრავს, ზღუქუნებს).
- მასწ. — (გამწარებული) ფა! ფა! (უკრავს) ფა! (ისევ უკრავს) ფა! (მასწავლებლის დაკრული ფა, და ედის ზღუქუნი ისტერიად იქცევა. მაგრამ უეცრად წყდება. პაუზა).
- ადა — დღეს რა ჩუმად ხარ!
- ჰენრი — ის არ კმაროდა, რომ გააჩინეს ამქვეყნად. ახლა მუსიკასაც ასწავლიან.
- ადა — უნდა ისწავლოს, კიდევ ისწავლის. მუსიკასაც და ცხენის ჭენებასაც. (ფლოქვების თქარათქური).
- მწვრთნელი — აბა, მის! იდაყვები შესწიეთ, მის! ხელები დაუშვით, მის! (ცხენის ფლოქვის ცემის ხმა) გაიმართეთ, მის! მუხლები, მის! (ედი ზღუქუნს იწყებს) აბა, მის! აბა, მის! (ფლოქვების თქარათქური, და ედის ზღუქუნი ისტერიად იქცევა, შემდეგ უცებ წყდება. პაუზა).
- ადა — რაზე ფიქრობ? (პაუზა) ჩემთვის თავის დროზე არაფერი უსწავლებიათ, რომ იცოდეთ, როგორ მწყდება გული, მაგრამ უკვე გვიანია.
- ჰენრი — ყველაზე უფრო რა გეხერხებოდა, მე აღარ მახსოვს.
- ადა — ... მგონი გეომეტრია, გასაგები და დამაჯერებელი. რაც მთავარია — გასაგები, შემდეგ — დამაჯერებელი. (ჰენრი ფეხზე დგება) რატომ ადექი?
- ჰენრი — ნაპირამდე მივალ, (პაუზა. ხვნეშით) მერე უკან გამოვბრუნდები. (პაუზა) ბებერ ძვლებს გავშლი. (პაუზა).
- ადა — მერე რას უცდი. (პაუზა) რაღას ფიქრობ. (პაუზა) რას მიშტერებიხარ. (პაუზა. ჰენრი ზღვისკენ მიდის. მისი ფეხის ხმა ქვიშაზე. ათიოდე ნაბიჯი. ნაპირთან ჩერდება. პაუზა. ტალღების ხმაური. შორეული ხმა) ფეხსაცმელს ნუ დაისველებ. (პაუზა).
- ჰენრი — ნუ, ნუ...  
(უეცრად ტალღების ხმაური მატულობს).
- ადა — (ოცი წლის წინათ. ვედრებით) ნუ! ნუ!
- ჰენრი — (ისევ. დაჟინებით) ადა!
- ადა — (ისევ. ჩურჩულით) ნუ... არ გინდა!
- ჰენრი — (ისევ. გამარჯვებული) ადა! საყვარელო!  
(ტალღების ხმაური, ადას ყვირილი, ერთმანეთში ირევა, უცებ წყდება. ვნებათა დღეღვის დასასრული. პაუზა. წყნარი ზღვა. ჰენრი გადარეცხილ ნაპირზე დადის. ფეხსაცმელი ქვიშაში ეფლობა. შეჩერდება. პაუზა. წინ მიიწევს. შეჩერდება. პაუზა. ზღვა, წყნარი და გატვრენილი).

1 ოცი წლის წინათ.



- ა დ ა — რა მოგდის. თვალი გაგიშტერდა. დაჯექი. (პაუზა. ჯდება მალზე. დუმილი) ხომ არ გეშინია ჩემი? (პაუზა) ჰენრი!
- ჰ ე ნ რ ი — ჰო.
- ა დ ა — ექიმს ეჩვენე, ჰენრი! ეს შენი გაუთავებელი ლაპარაკი არ მომწონს. ედიც განიცდის. ერთხელ მკითხა, მამაჩემი სულ რატომ ლაპარაკობსო? თურმე გაუგონია საპირფარეოში რომ ლაპარაკობდი. არ ვიცოდი რა მეპასუხა.
- ჰ ე ნ რ ი — მამი! ედი! (პაუზა) რატომ არ უთხარი ლოცულობს-თქო მამაშენი, (პაუზა) ღმერთს და მის წმინდანებს უხმობს-თქო.
- ა დ ა — ბავშვისთვის უკეთესს რას მოიფიქრებდა კაცი. (პაუზა) გგონია ლაპარაკით გახდები რამეს. არა, ჰენრი, შენ რაღაც სხვა გჭირს.
- ჰ ე ნ რ ი — მართალი ხარ! რატომ მესმის ზღვის ხმა ასე გამუდმებით?
- ა დ ა — არა მგონია, ასე ყველგან ზღვის ხმა გესმოდეს, და თუ გესმის, რა მოხდა, მშვენიერი, ნაზი, წყნარი ხმაა, ასე რატომ გეზიზღება. თუ მართლა გეზიზღება, რად არ გასცილდები, რას ჩამოდიხარ ნაპირზე მუდამდღე. შენ სულ სხვა რამ გჭირს, ჰენრი, მთლად გონზე არ უნდა იყო. ჰოლოვეი ნახე, თუ კიდევ ცოცხალია.
- ჰ ე ნ რ ი — ხმაური! ხმაური მინდა! ღრჭიალი, აი, ასეთი (ნაპირზე ორ მოზრდილ ქვას ამოთარჩევს და ერთმანეთს უხაჭუნებს) ქვა! (ღრჭიალი) ქვა! (ღრჭიალი, მისი ყვირილი და ქვების ღრჭიალი ერთმანეთს ერწყმის. მერე წყდება.
- პაუზა. ჯერ ერთ ქვას გადაისვრის. ქვა ხმაურით ეცემა) ამის სიცოცხლეს სიცოცხლე ჰქვია! (ისვრის მეორესაც. ისიც ხმაურით ეცემა) ჩემსას კი არა... (პაუზა) მიზიდულობა.
- ა დ ა — ვის სიცოცხლეს, ჰენრი! განა ჩვენს გარდა აქ კიდევ არის ვინმე?
- ჰ ე ნ რ ი — არავინ.
- ა დ ა — მეც ხშირად ვფიქრობ ხოლმე. ადრე, როცა მარტოობა გვიხდოდა, მუდამ ვიღაც გვიშლიდა ხელს. ახლა კი, როცა ამას მნიშვნელობა აღარა აქვს, კაცის ჭაჭანება არ არის ახლომახლო.
- ჰ ე ნ რ ი — შენ ხომ მაინც განსაკუთრებით გიყვარდა საზოგადოება. ცხელ-ცხელი ჭორები. მოსაღამოვდებოდა თუ არა, გამოეწყობოდი კოხტად და „მანჩესტერ გარდიენში“ ჩარგავდი ცხვირს. (პაუზა) ორმო კი ისევ იქ არის. რამდენი წელი გავიდა და ის ორმო მაინც იქ არის.
- ა დ ა — რა ორმო? დედამიწაზე რა მოთვლის ორმოებს.
- ჰ ე ნ რ ი — აი ის, სადაც პირველად...
- ა დ ა — ჰო, როგორ არა, მახსოვს. (პაუზა) იქ, ალბათ, არაფერი არ შეცვლილა.
- ჰ ე ნ რ ი — როგორ არა, შეიცვალა. (საიდუმლოდ) დრო ყველა ორმოს ამოავსებს! (პაუზა) რამდენი წლის იქნება ახლა?
- ა დ ა — სულ დაგვარგე დროის შეგრძნება.
- ჰ ე ნ რ ი — თორმეტის? ცამეტის? (პაუზა) თოთხმეტის?



- ა და — არ ვიცი, ჰენრი!
- ჰენრი — კარგა ხანი არ გვიჩინებოდა. (პაუზა).  
ბოლოს მაინც მოხდა მოსახდენი, მაინც გაგვიჩინდა, (პაუზა. ოხრავს) მაინც. (პაუზა) აბა, ყური მიუგდე! ზღვას არც ისე ცუდი ხმა ჰქონია, ახლოს თუ მიხვალ მით უმეტეს. (პაუზა) ეგებ ჯობდა სავაჭრო გემზე მემსახურა.
- ა და — ეს, ზედაპირი აქვს ეგეთი მღელვარე, ჰენრი, სიღრმეში სამარესავით წყნარია. იქ მდუმარებაა. დღისით და ღამით, მუდამ მდუმარება. (პაუზა).
- ჰენრი — თან მუდამ რადიომიმღები დამაქვს ხოლმე. დღეს რატომღაც დამავიწყდა.
- ა და — ნუ სულელობ! (პაუზა) აბა, რა აზრი აქვს?! ზღვის ხმა გინდა ჩაახშო? (პაუზა) ჰოლოვები ნახე.
- ჰენრი — მოდი, ნავით გავისეირნოთ.
- ა და — ნავით? მერედა, ვღი რომ მოვიდეს? ხომ იცი, როგორ ეწყინება, თუ გაიგო, რომ უიმისოდ წავედით. (პაუზა) ვის ელაპარაკებოდი აქ, ჩემს მოსვლამდე?
- ჰენრი — მამაჩემთან მიხდოდა ყოფნა.
- ა და — მერე, გამოვიდა რამე?
- ჰენრი — არა, პირიქით, ვცდილობდი მამაჩემი ყოფილიყო ჩემთან. (პაუზა) ვკითხვე, ადა თუ მოგესწრო-მეთქი. თვითონ ვერ გავიხსენე.
- ა და — მერე, რაო?
- ჰენრი — პასუხს არ მაძლევს.
- ა და — მგონი, ძალიან მოაბეზრე თავი მამაშენს. (პაუზა) ჯერ ცოცხალს, ახლა კი მკვდარსაც არ ასვენებ. (პაუზა) მოვა დრო, ჰენრი, კაცი არ დაგელაპარაკება. (პაუზა) უცნობიც კი. (პაუზა) სულ მარტო დარჩები საკუთარ ხმასთან, (პაუზა) გესმის?
- ჰენრი — აღარ მახსოვს, მოესწარი თუ არა მამაჩემს.
- ა და — ხომ იცი, რომ მოგესწარი.
- ჰენრი — არა, ადა, არ ვიცი, მაპატიე, მაგრამ შენ რაც გეხება, ყველაფერი დამავიწყდა.
- ა და — შენ შინ არ ყოფილხარ, როცა თქვენთან პირველად მოვედი. მხოლოდ დღე-ღამეები იყო და შენი და. გეძახე, რამდენი გეძახე, რომ საბანაოდ წავსულიყავით ერთად, როგორც შევთანხმდით. (პაუზა).
- ჰენრი — (გალიზიანებული) განაგრძე, განაგრძე! რად უყვარს ამ ხალხს ყველაფრის შუაზე გაწყვეტა!
- ა და — არავინ იცოდა იმ ღამეს შენი ასავალ-დასავალი. შინ არ გაგიტევიან თურმე. ერთმანეთს უყვიროდნენ. შენმა დამ თქვა, კლდიდან გადავვარდებით. მამაშენმა კარი გაიჯახუნა და გარეთ გავიდა. გზაზე წამოვეწვი. არ დაგუნახივარ. კლდის ქიმზე იჯდა და ზღვას გაჰყურებდა. არასდროს დამავიწყდება. თითქოს ჩვეულებრივადაც იჯდა, შენც ზუსტად ასე იცი ხოლმე ჯდომა. უცნაურად გარინდებულებიყო, თითქოს გაქვაგებულაო. დღესაც არ ვიცი, რა მოხდა. (პაუზა).



**ჰენრი — მერე! მერე! (ვედრებით) განაგრძე, ადა, ყოველი შენი სიტყვა მოგებულნი წამია.**

**ადა —** მე დავასრულე, ახლა შეგიძლია განაგრძო საუბარი მამასთან, ან მოჰყვე იმ რაღაც დაუსრულებელ ამბებს, რაც გინდა ის გააკეთე. მე კი ნულარ მომაქცევ ყურადღებას.

**ჰენრი —** აღარ შემიძლია! (პაუზა) აღარ შემიძლია!

**ადა —** ერთი წუთის წინ ხომ შეგეძლო, აი, სანამ მე გამომელაპარაკებოდი.

**ჰენრი — (გაბრაზებული) შემეძლო, ახლა აღარ შემიძლია! (პაუზა) ღმერთო ჩემო! (პაუზა).**

**ადა —** კარგი. ხომ იცი, რასაც ვგულისხმობ. (პაუზა) ზოგიერთი მოქმედება გასაგებია, რომ რაღაც მიზეზებით არ ქრება მესხიერებიდან, აი, მაგალითად, როგორ დგას ვიღაც ამაყად თავაწეული მაშინ, როცა სხვა თავდახრილი იდგებოდა, ან ხელი ჰაერში უძრავად აქვს გამეშვებული, თითქოს სხეულს მოსწყვეტიაო. ასეთი რამ ხშირად გამახსოვრდება, მაგრამ მამაშენი სულ სხვა იყო მაშინ. არაფერი ეტყობოდა განსაკუთრებული, მაგრამ, არ ვიცი, ვერ გამიგია, ეს იყო სხეულის უცნაური გარინდება, თითქოს სული ხორცს განეშორათ. ეს აბდაუბდა ნიშნავს რამეს შენთვის, ჰენრი? (პაუზა) გინდა ვცდი, ეგებ კიდევ გავაგრძელო. (პაუზა) არა? (პაუზა) მაშინ მე წავალ.

**ჰენრი —** არა, ჯერ ნუ! ნუ გააგრძელებ. ნურც მოუსმენ. ჩემთან იყავი. (პაუზა) ადა! (პაუზა. ხმამაღლა) ადა! (პაუზა) ქრისტე! (პაუზა) ფლოქვები! (ხმას უწევს) ფლოქვები! (პაუზა) ქრისტე! (ხანგრძლივი პაუზა) კარი გაიჯახუნე, გზაზე გახვედი, წამოგეწია, ვერ დაინახე, ზღვას... (პაუზა) აბა, ზღვას როგორ გაჰყურებდი, თუ სულ სხვა გზას დაადექი. კლდიდან მოუარე? (პაუზა) მამა! (პაუზა) ადამ ჯერ შენ გიყურა, შემდეგ ტრამვაის ლიანდაგისკენ მიმავალ ბილიკს. იქით წავიდა და ტრამვაიში ჩაჯდა. წინ, (პაუზა) წინ დაჯდა. (პაუზა) უცბად მოუსვენრობა დაეუფლა. უკანვე ჩამოვიდა. კონდუქტორი: „გადაიფიქრეთ, მის?“ ისევ ბილიკს გაჰყავა. შენ კი აღარა ხარ. (პაუზა) საცოდავი, გულგატეხილი აქეთ-იქით აწყდება, წარმოიდგინე, გარშემო კაცის ჭაჭანება არ არის, მხოლოდ ცივი ქარი ზღვიდან, ისევ ბილიკზე ბრუნდება, ტრამვაიში ჯდება და შინ მიდის. (პაუზა) ტრამვაით მიდის შინ. (პაუზა) ქრისტე! (პაუზა) „ჩემო ბოლტონ...“ (პაუზა) „თუ გინდა ნემსი გაგიკეთო, შარვალი ჩაიწიე. ცხრა საათზე აღმგზნებს გაგიკეთებ“. რა თქმა უნდა, დამამშვიდებელს გულისხმობდა. (პაუზა) ცეცხლი ჩაქრა, თეთრი ქვეყანა, უსაზღვრო სეფა, მდუმარება. (პაუზა) ბოლტონი ფარდას ათამაშებს, არა, დარაბას, ალებს, არა, ჰკეტავს, ისევ ალებს, ოთახში მთვარის შუქი შემოიჭრება. შემდეგ ისევ ჰკეტავს, ბნელდება, ალებს, თეთრი, შავი, თეთრი, შავი, ჰოლოფი: „ბოლტონ, თუ ღმერთი გწამს, გაჩერდი, თორემ გავთავადი“. (პაუზა) შავი, თეთრი, შავი, თეთრი, და ასე ჭკუიდან შემოლამდე. (პაუზა) უცებ ასანთს უკიდებს, ბოლტონი უკიდებს, სანთელს ანთებს, ასწევს მაღლა, ჰოლოფისთან მიაქვს და შიგ თვალებში ჩახედავს. (პაუზა) არც ერთი სიტყვა, მხოლოდ ჩამტერება, ბებერი, ლურჯი თვალები, უმეტყველო, გა-



მორეცხილი, თხელი, გაცვეთილი ქუთუთოები, გაცვენილი წამწამები, შე-  
შუპებული სახე სანთლის შუქზე ქანაობს აქეთ-იქით. (პაუზა) ცრემლე-  
ბი? (პაუზა. გაბმული ხარხარი) ღმერთო, არა! (პაუზა) არც ერთი სი-  
ტყვა, მხოლოდ ჩაშტერება, ბებერი, ლურჯი თვალები, პოლოვეი: „თუ  
ფინდა, რომ გესროლო, მითხარი, ბოლტონ, და მერე ჯოჯოხეთშიაც მქო-  
ნია გზა“. (პაუზა) „ეგ უკვე იყო, ბოლტონ, თავიდან ნუ გამამეორები-  
ნებ“. (პაუზა) ბოლტონი: „გთხოვ!“ (პაუზა) „გთხოვ!“ (პაუზა)  
„გთხოვ, პოლოვეი!“ (პაუზა) სანთლის ალი ისევ ცახცახებს, სანთელი  
შთლად ჩამოდნა, ბებერი მკლავი დაიღალა, მეორე ხელში გადააქვს,  
მკლავს ისევ მაღლა სწევს. აი, ასეა. ყოველთვის ასე იყო, ღამე, ცივი  
ნაკვეთრისხლები, და ბებერ მკლავში მოცახცახე სანთელი. თან ამბობს:  
„გთხოვ! გთხოვ!“ (პაუზა) მუდარა. (პაუზა) უბედურთათვის. (პაუზა)  
ადა! (პაუზა) მამა! (პაუზა) ქრისტე! (პაუზა) ხელი ისევ მაღლა იწევს,  
ჯიუტი ქვეყანა, პოლოვეის თვალებში მიაშუქებს სანთელს, თხოვნის თავი  
აღარა აქვს, მხოლოდ გამოსხედვა, პოლოვეი სახეზე ხელს იფარებს. მდუ-  
მარება, თეთრი ქვეყანა, ყინვა, შემაზრზენი სურათია, დიდი სევდა, ძვე-  
ლი მეგობარი, რა ეშველება? (პაუზა) არაფერი. (პაუზა) ქრისტე! (პა-  
უზა. ფეხზე დგება. კენჭების ხრამუნი. ზღვისკენ მიდის. მისი ფეხის ხმა  
ქვიშაზე. ჩერდება. პაუზა. ტალღების ხმაური ოდნავ მატულობს) იარე!  
(პაუზა. დადის. ფეხის ხმა ქვიშაზე. ნაპირთან ჩერდება. პაუზა. ტალღე-  
ბის ხმაური მატულობს) პატარა წიგნი. (პაუზა) ამალამ... (პაუზა) ამა-  
ღამ არაფერი. (პაუზა) ხვალ... ხვალ... კალატოზი ცხრა საათზე, შემდეგ  
კი არაფერი. (პაუზა საქმიანად) კალატოზი ცხრა საათზე? (პაუზა) ჰო,  
ეს ხომ სიტყვებია და სხვა არაფერი. (პაუზა) სიტყვები. (პაუზა) შა-  
ბათს... არაფერი. კვირას... კვირას... მთელი დღე არაფერი. (პაუზა) ღა-  
მეც არაფერი. (პაუზა) მდუმარება (ზღვა).





ბრიგორიუ ლეკეს ფუნტეს — მსკანეთი —

### წერილი ღმერთთან

მთელს ხეობაში ერთადერთი სახლი იდგა. სახლის აივნიდან კარგად მოჩანდა მდინარე, ხოლო მდინარის გასწვრივ — ველი, სადაც უკვე შემოსულიყო ლობიო და პური. დედამიწას წვიმის გარდა არაფერი აკლდა.

ლენჩო მთელი დილა ცას შეჰყურებდა, იქნებ ღრუბელი გამოჩნდესო. მან კარგად იცოდა, გვალვაში ყანა გადახმებოდა.

— აბა, დედაკაცო, ახლა კი მოვა წვიმა, — უთხრა ლენჩომ სადილის სამზადისში გართულ ცოლს.

— ღმერთო, გვიშველე! — თქვა ქალმა.

მოზრდილი ბავშვები ყანაში მუშაობდნენ, პატარები კი სახლთან თამაშობდნენ. ცოტა ხნის შემდეგ დედამ ყველას მოუყარა თავი.

სადილობისას მიწას წვიმის მსხვილი წვეთები დაეცა. როგორც ლენჩომ იწინასწარმეტყველა, ჩრდილო-აღმოსავლეთით ვეება ღრუბელი მიიზღაზნებოდა. ჰაერი იყო სუფთა და ნაზი.

ლენჩო გარეთ გამოვიდა, სიამოვნებდა წვიმაში დგომა. შინ შემოსვლისას კი წამოიძახა:

— წვიმა კი არა, კეწკეწა მანეთიანები ცვივა ციდან! — იგი გაბრწყინებული თვალებით შეჰყურებდა გამჭვირვალე ფარდიდან წვიმას, მის ყანას რომ დასდიოდა.

უცებ ძლიერმა ქარმა დაქროლა და წვიმას სეტყვაც გამოერია. ახლა კი ეს მართლაც ძალიან წააგავდა ახალ, ვერცხლის მანეთიანებს, ბავშვები სეტყვას არ მოერიდნენ, მოცვივდნენ და დაიწყეს ყინულის მარგალიტების მოგროვება.

— ოჰ, ეს საშინელებაა! — უკმაყოფილოდ წამოიძახა ჩამომტყნარმა ლენჩომ, დროზე მაინც გადაიღებდეს!

მაგრამ სეტყვას არსად ეჩქარებოდა. მთელი საათი ისეტყვებოდა სახლი, ბოსტანი, ხეები და მთელი ხეობა.

ყანა ისე იყო გადათეთრებული, თითქოს ზემოდან მარტილი მოუყრი-



ათო. ხეები გაიძარცვა, არც ერთი ნაყოფი აღარ შერჩა.

ლენჩოს გული ბოღმით აევსო. როცა ქარიშხალმა გადაიარა, შუა ყანაში მდგარმა თავის შვილებს მიმართა:

— კალიების ლაშქარიც კი უფრო მეტს დატოვებდა! სეტყვამ დაღუპა ყველაფერი. წელს მოსავალს ვეღარ ვეღირსებით!

ღამე სავსე იყო სინანულითა და დარდით.

— მთელი ჩვენი ნაშრომი დაიღუპა!

— არც არავინაა, რომ დაგვეხმაროს!

ამ წელს შიმშილობა გველის.

მაგრამ ამ სახლის ბინადართა გულებში იმედი ბჭუტავდა: ღმერთი მოწყალეაო.

— არა უშავს, დიდია განსაცდელი, მაგრამ მაინც არ დავიხოცებით შიმშილით.

ლენჩომ მთელი ღამე თეთრად გაათენა, იმედი ჰქონდა, ღმერთი ხელს მომიმართავსო. ღმერთი, უთხრეს მას, ყველაფერს ხედავსო, იმასაც კი, რაც ადამიანის სულის სიღრმეში იმალებაო. ლენჩო ერთი ალალი კაცი იყო. დღედაღამე პირუტყვივით ყანაში ეგდო, მაგრამ წერა-კითხვა მაინც იცოდა.

და აი, როგორც იქნა, ერთ კვირა დღეს მოიცალა და დაწერა წერილი. მერე გადაწყვიტა წერილი თვითონ წაეღო სოფელში და თავისი ხელით ჩაეგდო საფოსტო ყუთში.

წერილს ვიღაცას კი არა, ღმერთსა სწერდა.

„ღმერთო, — წერდა ლენჩო, — თუ არ დაგვეხმარები, მე და ჩემი ოჯახი ამ წელს შიმშილით ამოვ-

წყდებით. მე მჭირდება 100 პესო, რომ თავიდან დავთესო ყანა და ვიარსებო ახალ მოსავლამდე, რადგან სეტყვამ...“

ლენჩომ კონვერტს დააწერა „ღმერთს“, წერილი შიგ ჩაღო და სოფელში წაიღო.

საფოსტო განყოფილებაში მარკა იყიდა, დააკრა წერილს და ყუთში ჩაუშვა...

საფოსტო განყოფილების ერთ-ერთი თანამშრომელი, წერილების დამტარებლადაც რომ მუშაობდა, ხარხარით შევიდა უფროსთან და გაუწოდა ბარათი, ბარათი ღმერთისადმი მიწერილი. ამდენი ხანია მუშაობდა და ერთხელაც არ ჰქონია შემთხვევა, ასეთი მისამართით მიეტანა წერილი. ეგეც არ იყო, არც ის იცოდა, სად მიეტანა, სად ცხოვრობდა ის დალოცვილი!

ფოსტის უფროსს, უდარდელ სქელუასაც გაეცინა, მაგრამ მყისვე დადინჯდა, კონვერტი მაგიდაზე დააკაკუნა და თქვა:

— რწმენა... მე რომ მქონდეს ასეთი რწმენა, როგორიც ამ წერილის ავტორს აქვს, მჯეროდეს ისე, როგორც მას სჯერა და მასავით დაიმედებული ვიყო, ღმერთთან მიმოწერას შეც დავიწყებდი.

კანტორის უფროსმა გადაწყვიტა, ლენჩოსათვის პასუხი გაეცა. რატომღაც არ უნდოდა, რომ ლენჩოს ღვთისადმი რწმენა დაეკარგა და გული ივასტეხოდა.

მაგრამ მალე მიხვდა, რომ პასუხისათვის უფრო მეტი იყო საჭირო, ვინემ კეთილი სურვილი, და ისიც ადგა და წილი გაიღო თავისი ხელფასიდან. ცოტაც მისმა მეგობრებმა შეაწიეს სამადლო საქმისათვის. 100 პესოს შეგროვება, როგორც ამას ლენჩო თხოულობდა, არ მოხერხდა.



ამიტომ გაუგზავნეს მხოლოდ ნახევარზე ცოტათი მეტი.

კანტორის უფროსმა ჩადო ეს ფული ბარათში, ერთი სიტყვა მიაწერა „ღმერთი“ და ლენჩოს მისამართზე გაგზავნა.

მეორე კვირას ლენჩო დილაუთენია მივიდა ფოსტაში და იკითხა, ჩემს სახელზე წერილი ხომ არ არისო. დამტარებელმა წერილი მიაწოდა, ხოლო მადლის მქმნელი კანტორის უფროსი დიმილით იჭვრიტებოდა საფოსტო კანტორის კარის ჭუჭრუტანიდან.

ლენჩო ისე ღრმად იყო დარწმუნებული, ასეც უნდა მომხდარიყო, რომ ფულის დანახვაზე პირისახეზე არავითარი გაკვირვება არ გამოხატვია.

ფული რომ გადაითვალა, გაბრაზდა, ღმერთს არ შეეძლო შემცდარიყო, ანდა ჩემს თხოვნაზე უარი ეთ-

ქვაო. ის ფულს როგორ დამაკლებდაო?!

ლენჩომ მოითხოვა მელანი, ქალღი და მაგიდას მიუჯდა. წერდა შუბლშეჭმუნული. ძნელია, სწორად გამოთქვა შენი აზრები... წერილის წერა რომ დაამთავრა, ლენჩომ მარკა მოითხოვა. ენით დაასველა და მუჭით მიაკრა წერილს.

როგორც კი წერილი საფოსტო ყუთში ჩაეშვა, კანტორის უფროსმა მაშინვე გახსნა კონვერტი. წერილში ნათქვამი იყო: „ღმერთო, მე 100 პესო გთხოვე, ჩემამდე მხოლოდ სამოცმა პესომ მოაღწია. გამომიგზავნე დანარჩენიც, ძალიან მჭირდება. ოღონდ საფოსტო კანტორაში აღარ გამოგზავნო, რადგან აქაური ჩინოვნიკები გაქნილი ქურდები არიან“.

ლენჩო.“

თ ა რ გ მ ნ ა მ თ მ რ მ უ ჯ ი რ მ ა

□

## ი. შალენშიტი

### ბ უ ხ ა რ თ ა ნ

ქ რ შ ა ბ ა თ ი ა, დილის ათი საათი. ქალაქგარეთ ვილაში, მოგუზგუზე ბუხართან მამაკაცი ზის. საშინაო ხალათი აცვია, მადიანად შეექცევა საჭმელს და ხანდახან ღვინოს აყოლებს.

იმ დროს, როცა ფირფიტის დასადებად ხელი წაიღო, კარში ვიღაც უცნობი კაცი შემოვიდა.

— მაპატიეთ, დაუკითხავად რომ შემოვედი, მაგრამ კარი ღია იყო, —

თქვა მან და თავი მღაბლად დაუკრა. — ფირმა „ძმები სმიტების“ წარმომადგენელი გახლავართ. დიდად სასიხარულოა თქვენი გაცნობა. დირექტორი გრეი ბრძანდებით?

ბუხართან მჯდომი უხალისოდ მობრუნდა:

— დიახ, რა ამბავია?

— ბატონო დირექტორო, მე აქ პატარა ანგარიში მოგართვით გასული წლისა, 100 დოლარი...



— კარგი, კარგი, ხვალ კანტორი-დან გამოგიგზავნით ფულს...

— უკვე მერამდენედ მპირდებით, ფულს უსათუოდ გამოგიგზავნითო, — ისევ თავმდაბლად შენიშნა უცნობმა, — ამიტომ გადავწყვიტე პირდაპირ თქვენთვის მომემართა; თანაც საშუალება მეძლევა გავეცნო ჩვენს კლიენტს...

— როგორ ფიქრობთ, ასეთი ზერხით გაცნობა ღირსეული საქციელია?

— შეიძლება თქვენ მართალი ბრძანდებით, მაგრამ ჩვენიც გაიგეთ. ზოგი ჩვენი კლიენტი მოითხოვს, რომ შეკვეთა სასწრაფოდ შევასრულოთ. ჩქარობენ, ფულის გადახდას კი აყოვნებენ. ეს ვალი მთელი წელიწადია მოგდევთ...

— გთხოვთ მიბრძანდეთ, ანგარიში კანტორაში გამოგზავნეთ. ფული თან არა მაქვს.

— მაგას არა აქვს მნიშვნელობა, — თავაზიანად მიმართა უცნობმა, — ესეც გავითვალისწინე, თუმცა მეგონა, რომ შევძლებდით სასამართლოს აღმასრულებლის ჩაურევლად მოგვეწესრიგებინა საქმე; იგი პირადად გიცნობთ და კართან გელოდებათ.

ბუხართან მჯდომი კაცი ისე სწრაფად წამოხტა, რომ ღვინის ბოთლი მაგიდიდან გადავარდა და ნოხზე გაგორდა.

— ეს უკვე მეტისმეტი თავზედობაა! — დაიყვირა მან. — აი, თქვენი ფული. გაეთრიეთ აქედან და თვალით აღარ დამენახოთ!

\* \* \*

ადამიანების ერთი ნაწილი ქალაქგარეთ იმიტომ მიემგზავრება, რომ

დაისვენოს, მზითა და სიჩუმით დატკბეს. მაგრამ არიან ისეთებიც, ვინც ლამაზ აგარაკებზე გაშენებულ განმარტოებულ სახლებს სულ სხვა მიზნით ეწვევიან ხოლმე. ჯო სტოკი სწორედ ამ ჯურის ხალხს ეკუთვნოდა. ძალზე უყვარდა დროებით მიტოვებული პატარა სახლების მონახულება, ერთიც ვნახოთ, იქნებ რაიმე სახეიროს წავაწყდეთ. მოპარული ნივთების გასაღება არც ისე ძნელი იყო და ერთიანად ანაზღაურებდა მგზავრობის ხარჯს.

ჯოს საფულეში 400-მდე დოლარი ედო. ის კაცი, ვისაც საფულე სავსე აქვს, თავს იოლად გაიმართლებს: თუ დაიჭერენ, იტყვის, ამ სახლში შეცდომით შემოვედიო, ან, ეს ხუმრობა იყო და სხვა არაფერიო. ჯომ საკუთარი გამოცდილებით იცოდა: პოლიციას არ უყვარს ასეთი ზალხი, ვისაც ჯიბეში გროშიც არ უდევს.

ღირექტორ გრეის სახლში შესვლა ძნელი არ იყო: კარის გასაღებად უბრალო რკინის ნაჭერიც კი კმაროდა, რახან ვილაში კაციშვილი არ ეგულებოდა, ჯო არ ჩქარობდა. უპირველესად, როგორც ბატონკაცებს სჩვევიათ, ჯომ იბანავა, სახლის პატრონის ხალათი ჩაიცვა და ოთახები მოჩხრიკა. მაცივარში ხმელი ძეხვი, პური და კარაქი იპოვა. მარანში დიდებული ბურგუნდიული ღვინოც აღმოჩნდა. რახან დილა იყო და ჯერ კიდევ საკმაოდ ციოდა, ბუხარში ცეცხლიც ააგიზგიზა. მერე სავარძელში მოიკალათა და ისეთი ფირფიტა მოძებნა, მის მოლხენილ გუნებას რომ შეეფერებოდა.

— და აი, სწორედ მაშინ, — უყვებოდა შემდეგ ჯო თავის მეგობრებს, — კარში ის სულელი დაერჯო და რაღაც ვალის გასტუმრება მოითხოვა. გვარიანად შევშინდი.



ჯერ კიდევ ერთი კვირის უკან ამოვირჩიე ის განმარტოებული სახლი. მუდამდღე ვუთვალთვალე და ვიცოდი, რომ კარგა ხანია იქ არავინ გამოჩენილა. სრულიად დამშვიდებული შევედი სახლში, რა მეჩქარებოდა? ამ დროს კი ის ხარბი კაცი მომადგა და ვალი მომთხოვა. რა უნდა მექნა? საბედნიეროდ, სახლის პატრონი ვეგონე. კარს უკან კი სასამართლოს აღმასრულებელი იდგა. იგი დირექტორს კარგად იცნობდა. კიდევ კარგი, ჯიბეში ფული მქონდა. თუმცა ის თანხა იმ საქმეს შეეწირა, მაგრამ არაფერია. შემდეგ სასწრაფოდ მოვკურცხლე. რას იზამ, როგორც იტყვიან, წარმოებას თავისი ხარჯები აქვს, — დასძინა მან და ღრმად ამოიოხრა.

\* \* \*

ყველაზე სასეირო ის იყო, რომ ჯომ, ვითომდა სახლის პატრონმა, ფული მისცა ადამიანს, ვინაც სულაც არ იყო ფირმა „ძმები სმიტე-

ბის“ წარმომადგენელი. „წარმომადგენელი“ თავად გახლდათ სახლის პატრონი!

— გენიალური იდეაა, ბატონო დირექტორო, — აქებდნენ მეორე დღეს თანამშრომლები დირექტორ გრეის. — ნუთუ თქვენ ინკასატორად გაასაღეთ თავი?

— სხვა რაღა დამრჩენოდა? მივაწეე კარს, მაშინვე გაიღო. შევდივარ ოთახში, ბუხრის წინ არ გამოჯგიმულა ის ვაჟბატონი! ერთი აყლაყულა ვინმეა. ჩემი ხალათი ჩაუცვამს და თქვენ წარმოიდგინეთ, მუსიკითაც კი ტკბება. მაგრამ ხომ შეიძლებოდა იარაღიც ჰქონოდა! ამიტომ ეშმაკობა ვიხმარე. თავი ისე დავიჭირე, ვითომ ის იყო სახლის პატრონი. ვერაფერი შემატყო. სასამართლოს აღმასრულებელიც დროზე მოვიგონე. შეშინდა არამზადა, ვაითუ შემოვიდეს და გაუკვირდეს, ეს სადაური სახლის პატრონი არისო...

მე ცოტა შიში კი ვჭამე, მაგრამ სამაგიეროდ 100 დოლარი, ჩემო ძმაო, ქუჩაში არ ყრია...

□

## ე. დიუმონტი

### საოცარი პროფესია

ღმერთმანი, ბარმენობა საოცარი პროფესიაა. მშვენივრად ვგრძნობ თავს: ფულსაც კარგად ვმოულობ და ხანდახან რიგიანადაც ვერთობი.

თუმცა კაცმა რომ თქვას, არც საზრუნავი მაკლია: ხან შეზარხოშებულ ჯარისკაცს ვამშვიდებ, ხან ცოლისა და ქმრის კამათში ვებმები, ხანაც



ქმრისა და საყვარლის სჯა-ბაასში. უფრო მეტიც, ხშირად საყვარელსა, ცოლსა და ქმარს შორის ატეხილ დავასაც ძალაუნებურად გვერდს ვერ ავუქცევ.

ჩვეულებრივი ამბავია, გაიფიქრებთ თქვენ, ეს ხომ პროფესიის თავისებურებაა და წლების მანძილზე შეიძლება კიდევ მიეჩვიოთ. გეთანხმებით. მაგრამ, ზოგჯერ ისეთი რამეც ხდება, კაცი ვაოცდები.

ჩემი ბარი პატარაა. მუშტარიც მუდმივი მყავს — მეზობლები. მაგრამ ხანდახან სრულიად უცნობ ხალხთანაც მიხდება ურთიერთობა. აი, პარასკევს, დილის 10 საათზე, ბარში ვილაც მამაკაცი შემოვიდა, მუქი ლურჯი კოსტიუმი და თეთრი პერანგი ეცვა. ისეთი გარეგნობა ჰქონდა, ვიფიქრე, ალბათ სავაჭრო წარმომადგენელია და საქმიანი პავემნის წინ დრო უნდა მოკლას-მეთქი!

— ამ წუთს მოგხედავთ, — ვეუბნები და თან ლუდის კასრს მივაგორებ.

— რა მეჩქარება, მშვიდად მოათავეთ თქვენი საქმე!

კასრი თავის ადგილას მივაგორე, დახლიდან იატაკის რეცხვის დროს შემოწყობილი სკამები ჩამოვალაგე, საფერფლეებიც ჩამოვარიგე, დავჯექი და სიგარეტს მოვუკიდე.

— როცა მოიცლით, ლუდი მომიტანეთ!

კათხა გავუვსე და წინ დავუდგი. დახლქვეშ პატარა ტომსიკა მიღევს, — ფულს ვინახავ. ხურდა ფული სადღეისოდ გადავრე — დაახლოებით 50 დოლარი. როგორც გითხარით, პარასკევი იყო, მე კი სწორედ კვირის ბოლოს მუშტარს ხშირად ჩეკის სანაცვლოდ ფულს ვაძლევ ხოლმე. ამის გამო დამა-

ტებით კიდევ 500 დოლარი მოვამზადე და სალაროს ქვეშ დავმაღე. შემდეგ ჩემთვისაც დავისხი ლუდი და უცნობის გვერდით ჩამოვჯექი.

— ვფიქრობ, კარგა ხანს აღარავინ შემოვა, — ვუთხარი მე. — თქვენ ალბათ სავაჭრო წარმომადგენელი ბრძანდებით, ან რაღაც ამის მაგვარი?

— არა, უბრალოდ ვსეირნობდი. ვხედავ, ბარი დიაა. ვიფიქრე, მოდი, შევალ და ერთ კათხა ლუდს დავლევ-მეთქი.

სასაუბრო თემა ამით ამოვწურეთ. ვისხედით და უხმოდ ვსვამდით ლუდს. რამდენიმე წუთის შემდეგ ავდექი, კიდევ ჩამოვასხი ლუდი და ისევ ჩამოვჯექი. აი, სწორედ მაშინ მოხდა, რაც მოხდა.

ბარში ვილაც კაცი შემოვიდა და მაშინვე დახლისაკენ გაემართა. მეც მისკენ გავეშურე, რათა მოვმსახურებოდი. როცა ბარში დიდი ხანია მუშაობ, იმწამსვე გიგრძნობს გული, რაღაც ცუდი რომ უნდა მოხდეს.

სიმართლე გითხრათ, ამ კაცის ქცევაში განსაკუთრებული არაფერი იგრძნობოდა. ეს იყო მოხდენილი ახალგაზრდა, ღია ფერის საზაფხულო კოსტიუმი ეცვა და ყელზე შარფი მოეხვია. მაგრამ რაღაც უსიამო გამოხედვა ჰქონდა. ისიც შევამჩნიე, სველ ხელებს ხშირად იწმენდდა ერთმანეთზე.

ლუდი შემიკვეთა. კათხა ავიღე და ლუდის ჩამოსხმა დავიწყე. უცებ რას ვხედავ! ხელში პისტოლეტი უჭირავს! პისტოლეტი პატარა, შესანიშნავი სათამაშოა, ყოველ შემთხვევაში მანამ, სანამ დაგიმიზნებენ.

— ნუ დეღავ, მოხუცო. მეც ნუ



გამალიზიანებ. ამოიღე სალაროდან ფული და მომეცი.

ერთმა რამემ ძალზე შემაშფოთა: მეტისმეტად ნერვული მეჩვენა, პისტოლეტს რომ მიმიზნებდა, ხელი ძლიერ უკანკალებდა.

სალაროდან სადღეისოდ გამზადებული ერთდღობრიანი ბანკნოტები ამოვიღე.

— ნუ იქმ ამას, შვილო, — თქვა უცებ პირველმა უცნობმა, ბარის მეორე კუთხეში რომ იჯდა.

ყმაწვილმა მისკენ მიაბრუნა თავი, მე კი ისევ მიზანში ვყავდი ამოღებული.

— ნუ გააკეთებ ამას, შვილო. არ ღირს!

— სხვის საქმეში ნუ ეჩრები და ადგილიდან ფეხი არ მოიცივლო!

ყმაწვილს უნდოდა მრისხანე კაცის სახე მიეღო, მაგრამ ხმას სიმტკიცე აკლდა, ხელი კი უფრო აუკანკალდა.

— მე არ მინდა ვინმეს ვესროლო, მაგრამ თუ დამჭირდა, ერთი წუთითაც არ დავფიქრებ.

— ფრთხილად, — შევძახე პირველ უცნობს, — შეხედეთ, როგორ უკანკალებს ხელები! იქნებ ეს ნარკოტიკის გავლენითაა?!

— რის ნარკოტიკი, რა ნარკოტიკი, ეშინია და მეტი არაფერი, — მშვიდად განაგრძო პირველმა უცნობმა, — ეტყობა ხამია ასეთ საქმეში და შიშით გული მისდის.

— გეყოფათ ლაყბობა, — გააწყვეტინა ყმაწვილმა და მომიბრუნდა: — აუცილებლად მჭირდება ეს ფული, აუცილებლად. ჩქარა მომეცით...

— არ ვიცი, რაზე გჭირდება ეს ფული, მაგრამ სულ ერთია, ჩიტი ბღღვნად არ ღირს, — განაგრძობდა

აუჩქარებლად პირველი უცნობი. — ახლა რომც მოახერხო რამდენიმე დოლარის წაგლეჯა, მთელი სიცოცხლე საფრთხეში იქნები. ჩვენ პოლიციას ვაცნობებთ: აი, ასეთი და ასეთი კაცი ქურდია-თქო. იქ ამ ნიშნებს საქმეში ჩააკერებენ და ადრე თუ გვიან ვილაცა მაინც გიცნობს და ხელს ჩაგავლებს. მაშინ გაიგებ, შვილო, რას ნიშნავს მთელი სიცოცხლე კანკალებდევ და სულ იმაზე ფიქრობდევ, ვინმე ხომ არ მითვალთვალესო.

პირველი უცნობი თავისი ხავერდოვანი ხმით აგრძელებდა შეგონებას. ყმაწვილი მთლად მონუსხულივით უგდებდა ყურს. თავისდა უნებურად პისტოლეტიც დაუშვა.

— ვხედავ, რომ გონს მოდიხარ. ბოლოს და ბოლოს, ჩემო კეთილო, ცუდი არაფერი დაგიკეთებია, შეგიძლია მშვიდად გახვიდე აქედან და გწამდეს, რომ ვირი არა ხარ, — უცნობმა ყურადღებით შეხედა ყმაწვილს. — კიდევ აი, რას გეტყვი: შენ წესიერი ახალგაზრდა ჩანხარ, მაგრამ გეტყობა, ცხოვრებას ჯერ კარგად არ იცნობ. ჯერ შენთვის ნაადრევია ასეთი ხელობა, თუნდაც იმიტომ, რომ პისტოლეტის გატენაც დაგვიწყებია.

ყმაწვილი უკვე კართან იყო მისული. გაუტენელი პისტოლეტი რომ უხსენეს, გაფითრდა და სასწრაფოდ მოჰკურცხლა. ერთხანს გაშეშებული ვიდექი, შემდეგ ღრმად ამოვიოხრე და უცნობს ვუთხარი:

— წელან თქვენ მითხარით, სავაჭრო წარმომადგენელი არა ვარო, მაგრამ ეს ყველაფერი, რაც ახლა მოხდა, სულ სხვა რამეს ამტკიცებს. თქვენი რამდენიმე სიტყვა საკმარისი აღმოჩნდა, რომ ყმაწვილს ქურ-



დობაზე ხელი აედო. ბოლოს და ბოლოს, ვინა ხართ: პოლიციელი თუ საზოგადოებრივი ინსპექტორი?

— არც ერთი და არც მეორე, — მიპასუხა მან, თან ლუღს სვამდა. — მე ქურდი ვარ.

თქვა ეს და პიჯაკის შიგნითა ჯიბიდან ვეება 45 კალიბრიანი რევოლვერი ამოიღო და დახლზე ისე

დადო, რომ ლულა პირდაპირ ჩემკენ იყო მოშვერილი.

— თქონდ არ დაგავიწყდეს ის 500 დოლარიც, სალაროს ქვეშ რომ დამალე, ისიც მომეცი! — თავაზიანად შემახსენა მან.

აკი გეუბნებოდით, ბარმენობა საოცარი პროფესიაა-მეთქი.

თ ა რ გ მ ნ ა ბ ე შ ა ნ ა ს ა თ ი ა ნ მ ა





ვლადიმერ მაიაკოვსკი

### 3. 3. ხლებნიკოვი

ალესრულა ვიქტორ ვლადიმერის-ძე ხლებნიკოვი.

პოეტური დიდება ხლებნიკოვისა ვერა და ვერ გაუტოლდება მის მნიშვნელობას.

სულ რაღაც ასიოდ მკითხველიდან ნახევარი გრაფომანს ეძახდა ხელალებით, სხვანი ორმოცნი თავშესაქცევად ჩამზერდნენ მის წიგნებს და მხოლოდ ათთა დანარჩენთა (ფუტურისტ პოეტებსა და ზოგ-ზოგ ფილოლოგებს) გაეგებოდათ ხლებნიკოვისა და უყვარდათ ეს კოლუმბი ახალი მატერიკების, იმ მატერიკებისა, სადაც ჩვენს ვსახლობთ და ვმუშაობთ ამჟამით.

ხლებნიკოვი არაა მომხმარებლის ყაიდის პოეტი. იგი არ განგვაწყობს საკითხავად. ხლებნიკოვი პოეტია მწარმოებელთა. მას არ გააჩნია პოემები. მომთავრებულობა მისი ნაწარმოებებისა — ფიქციაა. მოჩვენებითი გასრულებულობა კი მეტწილ მის ახლობელთა ნამოქმედარია. პოეტის მიერ შავად ნაწერის ხვაფიდან გამოვარჩევდით ხოლმე, რაც უმეტეს ფასეული გვეჩვენებოდა და გადავცემდით დასაბეჭდად. არცთუ იშვიათად მომხდარა, რომელიმე მონახაზის კუდი სულ სხვაგვარი ნაწარმოების თავს გამოხშია. ეს ახალისებდა ხოლმე ხლებნიკოვს. კორექტურასთან ახლოს არ უნდა მიგეშვა. გადახაზავდა ყველაფერს და სრულიად ახლებურ ტექსტს შეადგენდა.

როცა ნაწარმოებს რედაქციაში მოიტანდა, ჩვეულებრივ დასძენდა ხოლმე: „თუ რაიმე

ვერაა რიგზე—შეასწორეთო“. ხშირად უალაგოდ შეწყვეტდა კითხვას და იტყოდა: „და ასე შემდგომ“.

ამ „და ასე შემდგომ“-ში ჩანს ხლებნიკოვი მთლიან. იგი სვამდა პოეტურ ამოცანას, იძლეოდა მისი ამოხსნის ხერხს და სხვათ მთანდობდა ნებისმიერ ესარგებლათ ამ ხერხით.

ბიოგრაფია ხლებნიკოვისა ეთანაბრება მის ბრწყინვალე სიტყვაქმნადობას. მისი ბიოგრაფია ნიმუშია პოეტებისათვის და მუნათი საქმოსან მილექსეთათვის.

ხლებნიკოვი და სიტყვა.

ეგრეთწოდებული ახალი პოეზიისათვის (ჩვენი პოეზია), ეს განსაკუთრებით სიმბოლისტებს ეხება, სიტყვა ლექსის მასალაა (გრძნობათა და აზრთა გამომსახველი), მასალა, რომლის აგებულება, წინაღობა და დამუშავების წესი უცნობი იყო აქობამდე. ეს მასალა ქვეცნობიერად მიიკვლევა შემთხვევიდან შემთხვევამდე. ერთმანეთის მსგავს სიტყვათა ალიტერაციული თანხვდომა მინიმუმებულ იყო, ვითა შინაგანი ნარჩილი და მკვიდრი ნათესაური დუღაბი.

დახავსებული ფორმა სიტყვისა აღიარებული გახლდათ მარადიულად და ცდას არ აკლებდნენ მოერგოთ იგი იმ საგანთათვის, ზრდაში რომ გარდაამეტეს სიტყვას.

ხლებნიკოვისათვის სიტყვა თავისთავადი ძალმოსილებაა (გრძნობათა და აზრთა მომ-



წესრიგებელი). აქედან მომდინარეობს ფუძედ ჩაღრმავება, სიტყვის სათავის მოძიება, მიბრუნება იმ დროჟამს, როცა სახელი შეესატყვისებოდა საგანს. ვინ იცის. იქნებ სწორედ მაშინ ამოჩნდა ათიოდ ძირეული სიტყვა, ახლები კი ფუძის ბრუნვების სახით გაცხადდნენ (ხლებნიკოვის მიხედვით ასეთია ფუძეების ბრუნება). მაგ. „бык“ (ხარი) — იგია, ვინცა (რქენს) „быт“. „Бок“ (ფერდი) — სადაც რქენს (ხარი) „бык“. „Лыс“ (შიშველი) — რადაც იქცა „лес“ (ტყე). „Лось“ (ლოსი) და „лис“ (მელა) — ვინაც ბინადრობენ ტყეში.

უღელი კამეჩი ვერ გაგლეჯს ხლებნიკოვის ამ სტრიქონებს.

Леса лисы

Леса обезлосили, леса обезлисили, —

მაშინ როცა თავისთავად ისახსრება ბალმონტისეული —

Чуждый чарам, черный челн.

სიტყვა ამჟამინდელი გაგებით შემთხვევითია. ოღონდაც ზუსტი სიტყვა უნდა ემარჯვებოდეს აზრის ნაირგვარ ელფერს.

ხლებნიკოვმა შექმნა მთელი „პერიოდული სისტემა“ სიტყვებისა. რა აიღებდა სიტყვის განუვითარებელ, ჯერეთ უცნობ ფორმას, შეაპირისპირებდა განვითარებულ სიტყვასთან და ირწმუნებოდა ახლებურ სიტყვათა წარმოშობის აუცილებლობას.

თუ განვითარებულ „пляс“-ს (ცეკვა) გააჩნია წარმოებული „„плясунья““ (მოცეკვავე ქალი), მაშინ „лет“-ის (ფრენა) განვითარებამ უნდა მოგვცეს „летунья“ (მფრინავი ქალი). თუ ნათლობის დღეს „крестины“ ჰქვია, დღე ზაფხულისა უნდა იწოდებოდეს — „летины“-დ. თქმა არ უნდა, აქ ნასახიც არაა იაფფასიანი სლავიანოფილობისა. რა ბედუნაა, თუ ამჟამით არ ემყნობა სიტყვა „„летунья““. ხლებნიკოვი თავისას შვრება, სიტყვაქმნადობის ხერხს გვაწოდებს.

იგი ოსტატია ლექსისა.

ხლებნიკოვს რომ არა აქვს მომთავრებული ნამუშევრები, ეს უკვე ვთქვი. მის უკანასკნელ ნაწარმოებში „ზანგეზი“ აშკარად იცნობა გვერდიგვერდ არსებული ორი სხვადასხვა ვარიანტი. ჩვენ უნდა შევარჩევდეთ ისეთ სტროფებს ხლებნიკოვისას, სადაც გადაიჭრება პოეტური ამოცანა.

ხლებნიკოვის ყველა ქმნილებებში ჩინობს ჯერ არნახული ოსტატობა. ერთი გეთხოვთ, მყის შეთხზავდა ლექსს (ხლებნიკოვის ფიქრი პოეზიას უტრიალებდა დღელამ), თანაც უჩვეულო ფორმით ჩამოქნიდა.

მას აქვს უგრძესი პოემა, რომელიც ერთნაირად იკითხება ორივე მხრიდან:

Кони. Топот. Инок.

Но не речь, а черен он...

და ა. შ.

თქმა არ უნდა ეს არაა განგებისი ოინბაზობა, რაც ყველაზე ნაკლებ იზიდავდა. მას სტრიქონი არ დაუწერია არც საკვებხარად, არცა გასასაღებლად.

ფილოლოგიურმა ტვირთებამ ხლებნიკოვი აზიარა ლექსის ისეთ წიაღს, სად ლირიკული თემა ერთი ეული სიტყვითაც წყდება.

ცნობილი ლექსი „შეჩვენება სიცილით“ დაბეჭდილი 1909 წ., ერთნაირად შეიყვარეს როგორც ნოვატორმა პოეტებმა, ისე პაროდისტმა კრიტიკოსებმა.

О, засмейтесь, смехачи,

Что смеются смехами,

Что смеяньствуют смеяльно.

О, иссмейся рассмеяльно,

смех усмейных смехачей...

და ა. შ.

აქ ერთი სიტყვითაა მოცემული სიცილის ქვეყანა — „смейво“. ცბიერნი — „смеюнчики“ და ძალოვანნი — „смехачи“.

რაგვარი სიტყვითი უგერგილობაა ამასთან შედარებით ბალმონტის ეს სტრიქონები, სადაც ნაცადია ერთ სიტყვაზე („люн“) აგება ლექსისა:

любите, любитя, любите, любите,

безумно любите, любите любовь.

ტავტოლოგიაა, სხვა არაფერი და ეს მოხმობილია სიყვარულის ურთულესი განსაზღვრებისათვის.

ერთხელ ხლებნიკოვმა რედაქციაში მიიტანა „люн“ ფუძედან ნაწარმოები სიტყვებით გავსილი ექვსი გვერდი. ვერ მოხერხდა ამის დაბეჭდვა, პროვინციულ სტამბას არ ეყო ასო „ლ“.

შიშველი სიტყვაქმნადობის მონაპოვარს ხლებნიკოვი პრაქტიკულ ამოცანებს უსადაგებდა. ავილოთ თუნდაც კუტკალიას აღწერილობა.



Крылышкуя золотиписьмом тончайших  
жил,

Кузнечик в кузов пуза уложил  
Премного разных трав и вер.  
Пинь-пинь-пинь тарарахнул занзивер.  
О Неждарь вечерней зари!  
О не ждал!  
Озари!

აი, კლასიკაც:

У колодца  
Расколотся,  
Так хотела бы вода,  
Чтоб в болотце  
С позолотцей  
Отразились повода.  
Мчась, как узкая змея,  
Так хотела бы струя,  
Так хотела бы водица  
Убегать и расходиться,  
Чтоб ценой работы добыты  
Зеленее стали чоботы  
Черноглазые ее  
Шопот, ропот, неги стон,  
Краска темная стыда,  
Окна избы с трех сторон,  
Воют ситые стада.

შევნიშნავ: ლექსები ზეპირად მომყავს. შესაძლოა ზოგ-ზოგი ადგილი შემეშალოს კიდევ. საერთოდ კი ფიქრად არ მომდის ამ მცირე ნარკვევით გავწვდევ მთელ ხლებნიკოსს.

და კიდევ: განზრახ არ გამოვყოფ ხლებნიკოვის მიერ შესრულებულ უზარმაზარ ფანტასტიკურ-ისტორიულ ნამუშევარს, რადგან ეს თავის არსში ნამდვილი პოეზიაა.

ცხოვრება ხლებნიკოვისა.

ხლებნიკოვის ბუნებას ყველაზე უკეთ მისივე სტრიქონები განგვიმარტავენ:

Сегодня снова я пойду  
туда, на жизнь, на торг, на рынок,  
и войско песен поведу  
с прибоем рынка в поединок.

მას ვიცნობ 12 წელია. ხშირად ჩამოდიოდა მოსკოვში და მაშინ ერთმანეთს არ ვცილდებოდით ხოლმე.

მე მაოცებდა ხლებნიკოვის შრომის წესი. მისი საცხოვრებელი გავსილი იყო პოეტის

მიერ წვრილად ნაწერი რვეულებით, ფურცლებით, ქალღმრთის ნაგლეჯებით. თუკი იმხანად რომელიმე კრებულის გამოცემა არ მოესწრებოდა, ანდა არამკითხველ ვინმე არ გააცოცებდა ნამუშევრებს ამ ჩელხიდან, მაშინ ბალიშისპირს დატენიდა პოეტი ნაწერებით, სასთუმლად იდებდა მოგზაურობისას, მერმე კი სადმე მიაკარგავდა ბალიშს.

ძალზე ხშირად მოგზაურობდა. ვერც მიზეზს გაიგებდით ამისას, ვერც დროს შეიტყობდით, ვერც ვადებს დაადგენდით. სამი წლის წინათ რის ვაინაჩრობით მოვახერხე მისი ხელნაწერების დაბეჭდვა, საზღაურით თანაც.

(ხლებნიკოვმა გადმომცა მე აბურდული ხელნაწერებით სავსე მომცრო საქალაქი. ეს შეკვრა შემდგომ იაკობსონმა წაიღო პრალაში და დაწერა შესანიშნავი ბროშურა ხლებნიკოვზე).

საშვისა და თანხის მიღების წინდლით თეატრალურ მოედანზე შემომხვდა პატარა ჩემოდნით.

— საით გაგიწევიათ? — გაზაფხული. სამხრეთი, — მომაძახა და გადაეშურა კიდევ იმ მხარეს. ორი წელი იგორავა ვაგონის სახურავით. იწილადებდა სპარსეთში ჩვენი არმიის უკანდახევასა და იერიშსაც. ამ ზამთარს ჩამობრუნდა ეპილეპტიკების ვაგონით, ჯანგაბეხილი და ტანგაძარცული, ავადმყოფის ხალათში გამოსხვეული.

ერთი სტრიქონი არ ჩამოუტანია წამლად. მისი იმდროინდელი ლექსებიდან მახსოვს მხოლოდ შიმშილზე დაწერილი, რომელიღაც ყირიმულ გაზეთში გამოქვეყნებული ლექსი და ორი გასაოცარი ხელნაწერი წიგნი: „ლადომირი“ და „ნაკაწრი ცაზე“.

„ლადომირი“ სახელგამს გადაეცა, მაგრამ ვერ დაიბეჭდა. განა ძალუმიდა ხლებნიკოვს შუბლით გაენგრია კედელი?

ხლებნიკოვი საოცრად მოუწესრიგებელი კაცია. ცხოვრების მანძილზე ერთი სტრიქონი არ დაუბეჭდავს თავისით. გოროდეცკის ქებათა ქება (ხლებნიკოვის სიკვდილის შემდგომ) პოეტს, ასე გასინჯეთ, ორგანიზატორულ ნიჭსაც კი მიაწერდა. თითქოს მას შეექმნას ფუტურიზმი, დაებეჭდოს „სილაქი საზოგადოებრივ გემოვნებას“. და ა. შ. ეს მტკნარი სიცრუეა.

„მსეჯულთა ბალიცა“ და „სილაქიც“ ხლებნიკოვის პირველ ლექსებთან ერთად 1908 წელს დავით ბურლიუკმა დაბეჭდა. ყოველგვარ შემდგომ საქმიანობაში თითქმის ყოველთვის ძალით ჩაითრევდნენ ხოლმე



ხლებნიკოვს. რაღა თქმა უნდა, ასე ხელის  
აღება ყველაფერზე შესაზიზღია, თუ იგი  
გაქსუებული მდიდრის ხუმტურია. ხლებნი-  
კოვს კი, რომელსაც საკუთარი შარვალიც არ  
ღირსებია, ეს შიშველ-მართლობა მოწამე-  
ობრივი იერით მოსაგდა.

იგი უყვარდა ყველა ნაცნობ-მეგობარს,  
ოღონდაც ეს იყო სიყვარული ჯანსაღთა საღ-  
სალამათი, უგანათლებულესი და მჭრელი  
გონების პოეტის მიმართ. მას არა ჰყავდა  
დედ-მამა, რომლებიც თავგადადებულად მო-  
უვლიდნენ. ავადობამ ხლებნიკოვი მიზეზიანი  
გახადა. ის ეჭვიანობდა, როცა გარშემო ისეთ  
ხალხს ხედავდა, ვინაც მთელ ყურადღებას არ  
უთმობდა. სულ სხვა მისამართით ნასროლი  
როყიო ფრაზა წარმოესახებოდა, როგორც სა-  
კუთარი ტალანტის აბუჩად აგდება.

მართებული მწერლობის მერმისის სახელით  
ვალად ვრაცხ ჩემი და ჩემი მეგობარი პოეტე-  
ბის (მე მათი სრული რწმენა მაქვს), ასეე-  
ვის, ბურლიუკის, კრუნიხის, კამენსკის,  
პასტერნაკის სახელით ხმამაღლივ განვაცხა-  
დო, რომ ვადიარებდით და ახლაც ვადიარებთ

ხლებნიკოვს ერთ-ერთ მასწავლებლად და  
ჩვენი პოეტური ბრძოლების პირნათელ და  
პირმშვენიერ რაინდად.

ხლებნიკოვის სიკვდილის შემდგომ მრავალ  
ჟურნალ-გაზეთში გამოჩნდა მისდამი თანა-  
გრძნობით სავსე სტატიები. ზიზღით გადა-  
ვიკითხე ეს წერილები.

სად იყვნენ ეს კალამგირები, როცა კრიტი-  
კის მიერ შეგინებულ სწორუპოვარ ხლებნი-  
კოვს ჯერ კიდევ სული ედგა და იარებოდა  
რუსეთში. ღირსეულნი არსობენ ჯერაც და  
ვეჭვ ასცდეთ ბედი ხლებნიკოვისა.

თავი ვანებოთ ასწლოვან იუბილეთა მი-  
დევნას, სიკვდილისშემდგომი გამოცემებით  
ადამიანის დაფასებას ერთხელ და სამუდამოდ  
ვუძციოთ ზურგი.

არა მკვდართა, ცოცხალთა გამო ვიწუხდეთ  
და ვწერდეთ!

პური არსობისა და წილხვედრი ქალღმად  
მათ!

თ ა რ გ მ ნ ა  
ელიშერ ბიორბაძემ





# შულცენჰოფის „განდეგილი“

მსაიზი მრვინ შტრიტმატერის პორტრეტი სათვინ

ერვინ შტრიტმატერი თანამედროვე გერმანული ლიტერატურის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. მისი ნაწარმოებები დიდი პოპულარობით სარგებლობს მწერლის სამშობლოში და გერმანიის საზღვრებს გარეთაც მრავალ ენაზეა თარგმნილი. ერვინ შტრიტმატერს სამჯერ მიენიჭა გდრ-ის უმაღლესი ლიტერატურული ჯილდო, ეროვნული პრემია. მიღებული აქვს აგრეთვე ლესინგისა და ფონტანეს პრემიები. იგი გდრ-ის პენ-ცენტრისა და გერმანულ ხელოვნებათა აკადემიის წევრია. გასულ წელს მწერალი ხელახლა აირჩიეს გერმანიის მწერალთა კავშირის გიცე-პრეზიდენტად.

მაგრამ ლიტერატურული დიდება ერვინ შტრიტმატერს არც ისე ადვილად მოუხვეჭია. როგორც მწერალი, იგი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ჩამოყალიბდა. ბერტოლტ ბრეჰტი, ვინაც დიდ ლიტერატურაში გამოიყვანა და დიდად აფასებდა შტრიტმატერის „მხატვრულ ძალას, ორიგინალობას, შეხედულებებს, ცოდნასა და უაღრესად ძარღვიან ენას“, შენიშნავდა: „გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გარეშე იგი არა თუ არ გახდებოდა დიდი მწერალი, არამედ, როგორც ჩანს, საერთოდ ვერ გახდებოდა მწერალი“. მართლაც, ერვინ შტრიტმატერს ისეთი მძიმე ცხოვრება აქვს გამოვლილი, გერმანიის ახალ წყობას რომ პირობები არ შეექმნა მისთვის, მისი დიდი ნიჭიც შეიძლება ცხოვრებისეულ ბედუკუღმართობის მსხვერპლი გამხდარიყო.

მწერალი დაიბადა შპრემბერგში ღარიბი გლეხისა და ხაბაზის ოჯახში. მშობლებმა რეალურ გიმნაზიაში მიაბარეს, მაგრამ თექვსმეტი წლისამ თავი დაანება სკოლას და ხაბაზობა შეისწავლა. შემდგომში მრავალი ხელობა გამოიცვალა, ვიდრე საბოლოოდ მწერლობის გზას დაადგებოდა. მუშაობდა მეპურედ, ოფიციალტად, შოფრად, ცხოველების მომვლელად, მეზღვედ, მიწის მუშად. მეორე მსოფლიო ომის ხანს ჯარში გაიწვიეს და საბერძნეთის კუნძულ იოსზე მოხვდა. აქედან მალე გამოიპარა და დიდხანს იმალებოდა. 1947 წლიდან აქტიურად მონაწილე-

ობდა დემოკრატიული გერმანიის აღორძინებაში — ჯერ როგორც სახალხო კორესპონდენტი, თემის განმგებელი, სარაიონო გაზეთის რედ-ქტორი, შემდეგ კი როგორც თავისუფალი მწერალი. მან მთელი თავისი შემოქმედება დემოკრატიულ გერმანიას დაუკავშირა და აღწერა ის დიდი სოციალური ძვრები, რაც აგერ ოცდასუთი წელიწადია აღმოსავლეთ გერმანიის მიწა-წყალზე ხდება.

ამჟამად ერვინ შტრიტმატერი პოტსდამის ოლქის პატარა სოფელ შულცენჰოფში ცხოვრობს. მწერალი თავის სახლ-კარს ძალიან იშვიათად და უხალისოდ სტოგებს ხოლმე, რადგან ყველაზე უკეთ აქ მუშაობს. ერვინ შტრიტმატერი არაჩვეულებრივად ნაყოფიერი მწერალია. რამდენიმე უკანასკნელი წლის მანძილზე მან ერთი რომანი („სასწაულმოქმედი“, ნაწ. 2. 1973), ოცდაათამდე მოთხრობა და მრავალი მცირე მოცულობის ჩანაწერი შექმნა. უმნიშვნელოვანესი მოთხრობები ორ კრებულშია გაერთიანებული: „სექტემბრის ერთი სამშაბათი“ (1970) და „ცისფერი ბუღბუღი ანუ რაღაცის დასაწყისი“ (1972). ასლა მწერალი „სასწაულმოქმედის“ შესამე ნაწილზე მუშაობს.

ერვინ შტრიტმატერმა სამჯერ იმოგზაურა საქართველოში. მისივე აღიარებით ჩვენმა ქვეყანამ მასზე წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა. ამ შთაბეჭდილების გამოძახილს მისი უკანასკნელი ხანის ნაწერებშიც ვხვდებით. ბევრი მათგანი ჯერჯერობით მწერლის არქივში ინახება და საბოლოო დამუშავებას ელის.

ერვინ შტრიტმატერი პირველი სტუმრობისას გავიცანი, ათიოდე წლის წინ. მას შემდეგ ხშირად შევხვედრივართ ერთმანეთს ხან თბილისში, ხან ვაგრაში, ხანაც ბერლინსა თუ შულცენჰოფში. კარგა ხანია გადაწყვეტილი მქონდა მწერლის ლიტერატურული პორტრეტი მომეხაზა, ბევრჯერ მიცდია კიდეც ჩემი და პირადი შთაბეჭდილებანი და დაკვირვებანი ქალაქდზე გადამეტანა.

მახსოვს, ჩემს ჩანაწერებს მისი სახლისა და კარ-მიდამოს აღწერით ვიწყებდი. დაწვრი-



ღებოთ ვჩერდებოდი სამუშაო ოთახზე, თავ-  
ლის თავზე რომ გაემართა მწერალს. ამ  
ოთახს დაქანებული სასურავი აქვს. ეს სახუ-  
რავი, სხვენის იატაკი და საგანგებოდ ამოშე-  
ნებული კედელი კარგა შედრმავებულ წალოს  
ქმნის, სადაც განიერი საწოლია ჩადგმული.  
წალოს პირებზე სახლის პატრონს ერთმანე-  
თის მიყოლებით ცხენების სურათები გაუკ-  
რავს, ისე რომ საწოლი ტაიჭთა და ბედაურ-  
თა სურათების ჩარჩოში ჩასმული გეგონე-  
ბათ. ღამლამობით ქვემოდან ცხენების ფრუ-  
ტუნნი და ფშვინვა ისმის ხოლმე, რაც, მწერ-  
ლისავე აღიარებით, ხშირად უკრთობს ისე-  
დაც ფრთხილ და ფხიზელ ძილს. საწოლის  
გასწვრივ დიდი საწერი მაგიდა დგას, მეორე  
მხრიდან ტრიალა სავარძელია მიდგმული. სა-  
ვარძლის უკან პატარა ჭრელ-ჭრელი ტომე-  
ბით გაჭედული თაროებია. ეს ტომები „რეკ-  
ლამის“ გამოცემისა გახლავთ. საწერ მაგი-  
დასა და საწოლს შუა სარკმელია. იქიდან  
მოჩანს სათიბი, უფრო შორს კი ტყის შავი  
ზოლია.

რაკი სამუშაო ოთახის აღწერას მოვათა-  
ვებდი, კარ-მიდამოზე გადავდიოდი. პატარა  
ბაღჩაში ზამბახები ხარობს — მეღნისფერი  
ენა გადმოუგდიათ და ხანჯალივით ალესილი  
ფოთლები ცისკენ გაუშვებიათ. ეზოს ფარ-  
დულში დახერხილი და დაბობილი შუშა  
აწყვია. იქვეა საბძელ-ბოსელი და ზოგი  
სხვა ნაგებობა. ბაღის ბოლოში ელექტრო-  
მავთულით შემოულობავთ საბალახო შოტ-  
ლანდიური პონებისთვის.

ეზოს კუთხეში შტრიტმატერების ძველი  
სახლი დგას. სახლი კირითაა შეთეთრებული.  
პატარა ფანჯრების გარე დარბები სახლის  
პატრონებს შინდისფრად შეუღებავთ, რაც  
არაჩვეულებრივ მხიარულ შთაბეჭდილებას  
ქმნის. ახლა ამ სახლში შემყავდა ჩემი მომა-  
ჯალი მკითხველი — ჯერ მყუდრო სამზა-  
რეულოში, უფრო ზოოლოგიურ ბაღს რომ  
ჰგავს: აქაა თუთიყუში, ბოცვერი, თეთრი  
თაგვები; მერე დიდ ოთახში, სადაც ერვინ  
შტრიტმატერის უფროსი ვაჟები მათი და  
ერვინი ცხოვრობენ. პატარა იაკობისთვის  
მშობლებს იქვე, შემოსასვლელი კარის გვერ-  
დზე, ერთი ციციქნა სენაკი მიუჩენიათ. სას-  
ტუმრო ვიატკის წითელ-ყვითელი სათამაშო-  
ებითა და ფერადი შუშის ჭურჭლითაა მორ-  
თული. შემდეგ მზიანი და ნათელი ოთახია,  
სადაც ყოველთვის რატომღაც ტყის ჩიტის-  
თვალას სურნელი დგას. ეს ევას ადგილსამ-  
ყოფელია, მწერლის მეუღლის, შესანიშნავი  
პოეტი ქალისა და უებრო დიასახლისისა.

აქვე, ჭერამდე ასულ თაროებზე „სადალაქოს  
ბიბლიოთეკა“ მოთავსებული. შტრიტმატე-  
რების სახლი საკმაოდ მოწყვეტილია სოფელს.  
ამიტომ დალაქობა ხშირად ევას უხდება. ამის  
საფასურად უფლება ეძლევა შემოსული წიგ-  
ნებიდან რამდენიმე თვითონ შეირჩიოს ხოლ-  
მე და თავის თაროებზე დააღაგოს. აქ კი  
მწერალს დიდი სიფრთხილე მართებს. რომ  
„შინაურმა დალაქმა“ ყველა საუკეთესო  
წიგნი თავის ოთახში არ გადაზიდოს...

ძველ ჩანაწერებში კიდევ ერთ მოგონებას  
წავაწყდი, რაც მათისთან ერთად ტყეში ცხე-  
ნით გასეირნების შემდეგ ჩამინიშნავს უბის  
წიგნაკში. „ჯადოქრების საგოგმანო“ შუა-  
გულ ტყეში გატკეპნილ მოედანს ჰქვია. იქ  
მძუნაობის დროს სარირმები იკრიბებიან  
ღამლამობით და სამკვდრო-სასიცოცხლოდ  
გბრძვიან ერთმანეთს. აქედან ხუთი წუთის  
სავალზე ვულკანური წარმოშობის პატარა  
ტბაა; ადგილობრივი მცხოვრებლები „დიდ  
ფოსკულეს“ უწოდებენ მას, ვინაიდან იქვე  
უფრო მომცრო გუბურაცაა და ეპითეტი „პა-  
ტარა“ იმისთვის შემოუნახავთ. ტბის კვამ-  
ლისფერ ზედაპირზე დუმფარას თეთრი ყვა-  
ვილები დაცურავს. ერთ ალაგას წაქცეული  
ფიჭვი აგდია. მისი ტანი ღრმად შეჭრილა  
წყალში და ვიწრო ბოგირი შეუქმნია. ერთხელ  
მწერალს თურმე განუზრახავს ცოლისთვის  
მოცურავე ყვავილი მოეწყვიტა და ამ ბოგირ-  
ზე გასულა, მაგრამ სველ ხეზე ფეხი დაცდე-  
ნია და წყალში ჩავარდნილა. ასე გაწუწული  
და გალუმპული მიბრუნებულა შინ. საღამოს  
კი მის დღიურში გაჩნდა საოცრად პოეტუ-  
რი მოთხრობა „ამბავი წითელი წყალნაწყე-  
ნასა და კუმეტი ტბორისა“.

რა თქმა უნდა, ერვინ შტრიტმატერის გა-  
რეგნობის აღწერაც მიცდია — მისი სპორტუ-  
ლი აღნაგობისა, რბილი, მოქნილი მიმონვ-  
რისა, დაკვირვებული მონაცრისფრო ლურ-  
ჯი თვალებისა, კიდევბისკენ ოდნავ ჩამოწე-  
ული ქუთუთოებით. თვალეში ეშმაკური  
ღიმილი ჩაბუდებია და მთელ პირისახეს და-  
სთამაშებს. იგი საოცრად თავაზიანი და გულ-  
თბილი კაცია. სტუმარი მისი მთავარი საზ-  
რუნავია. მანამდე არ მოისვენებს, ვიდრე  
მოხერხებულად არ დასვამს თავის მოსაუბ-  
რეს — ხან ბაღიშს შესთავაზებს წელქვეშ  
ამოსადებად, ხან პატარა სკამს მიუჩოჩებს  
ფეხებთან; იქვე საფერფლესაც დაუდგამს და  
თვალი სულ იმზე უჭირავს, სიგარეტის მო-  
კიდება ხომ არ სურსო, რომ მკვირცხლად  
წამოხტეს და ცეცხლი გაუწოდოს.

მრავალ სხვა წვრილმანსაც ვიხსენებდი,



მაგრამ მაინც ყოველთვის ვგრძნობდი, ის რაც თავისებური და განუმეორებელი გააჩნდა ამ მწერალს — თვალსა და ხელს შუა მეცლე-ბოდა. რჩებოდა მხოლოდ შიშველი ამბავი, მშრალი აღწერა, რასაც არ ძალუძდა ერვინ შტრიტმატერის ცოცხალი სურათის შექმნა. ამიტომაც გადავწყვიტე, ვიდრე არ გამქარ-ვებოდა, ჩამეწერა უკანასკნელი მოგზაურო-ბის შთაბეჭდილებები.

დალოცვილ ივნისის თვეს, როდესაც „აბ-ზეკილი ხონჭკალების ყვავილთა სილურჯე გადმოსაფრქვევად ამზადებს თესლს“\* და როცა „მინდვრისნემსა თაფლის სურნელით იქებს თავს“, ჩავადწიე შულცენჰოფს. თეთ-რად შეფეთქილმა სახლმა შორიდან შემომ-ლიმა შინდისფერი თვალებით და, როგორც ძველ ნაცნობს, ისე შემეგება.

იმხანად თურმე „ალბერტის“ ცირკს გაუ-მართავს წარმოდგენები იმ მხარის სამაზრო ქალაქში. ჩემს ჩამოსვლამდე ორიოდე დღით ადრე აეშალათ აქ კარვები. გრანზეეს სად-გურში და მის წინა მოედანზე, სადაც მანქა-ნით დამხვდნენ მასპინძლები, ფერად-ფერადი აფიშების ნაგლეჯები ჯერ კიდევ ფრიალებ-და აქა-იქ. ალბერტის სახელი ყველას პირზე ეკერა. საერთო გატაცებას არც შტრიტმატე-რები მოწყვეტილან და ერთ დღეს მთელი ოჯახით სწვევიან ალბერტის. აბა, რა გასა-კვირია, რომ დიდი ხნის უნახავს მწერლის ვაჟებმა უმაღლე თავიანთი შთაბეჭდილებები მომაყარეს. მერე მათ ოჯახის თავიც აჰყვა და მალე ისიც გატაცებითა და მხიარული თვალებით მიყვებოდა სამოცდაათი კაცისაგან შემდგარი დასის ამბავს — ამბავს საცირკო დინასტიისა, მოწესრიგებული ცხოვრება ბო-შათა თაბორის მოუსვენარ ყოფაზე რომ გა-უცვლია. დასი დიდხანს არსად ჩერდება, ყველა კუთხეს ეწვევა ხოლმე და აფორიაქებს ბინადართა მშვიდ ცხოვრებას. და თუმცადა ჯამბაზებისა და მუშაითების გაბედული ნახტომები და რთული იღვთები, თინბაზების თვალთმაქცობა, მოჯირითე ქალების ოსტა-ტობა პროჟექტორის შუქით გაჩახჩახებულ დარბაზში მომაჯადოებელ შთაბეჭდილებას ახდენს კოლექტივის გლეხებსა და პროვინ-ციული ქალაქების მკვიდრებზე — თვით ცხოვრების წესი ცირკის მსახიობებისა ადგი-

\* ბრჭყალებში ჩასწული წინადადებანი ერვინ შტრიტმატერის ნაწარმოებებიდან და-ვისესხე (რ. ყ.).

ლობრივ ბინადართა ეჭვსა და უნდობლობას იწვევს, რადგანაც ეს სულის წიაღში მთვლე-მარე სხვა იღუმალ, აკრძალულ სამყაროთაც უღვიძებს მათ.

ერვინ შტრიტმატერს ცირკთან განსაკუთ-რებული სიყვარული აკავშირებს. სადაც არ უნდა იმყოფებოდეს, იგი არასდროს არ გაუ-შვებს შემთხვევას, რომ საცირკო სანახაობას დაესწროს. ასეთი ყურადღებიანი, საქმეში ჩახედული და მადლიერი მაყურებელი კი ბევრს შეშურდება. ერთხელ მწერალი იალტა-ში ისვენებდა, სადაც იმ დროს ერთი პრო-ვინციული ცირკი იყო ჩამოსული. საცირკო პროგრამაში მონაწილეობდა იმხანად ჯერ კიდევ უცნობი ჯამბაზი. მისმა დახვეწილმა ოსტატობამ მწერლის ყურადღება მიიპყრო. შტრიტმატერი ხელმეორედ მივიდა ცირკში, გაეცნო კიდევაც მსახიობს. ამის მერე კი საბ-ჭრთა პრესაში ვრცელი წერილი გამოაქვეყნა. ამ წერილმა კი დიდად შეუწყო ხელი მა-ნამდე უცნობი ჯამბაზი სახელგანთქმული გამხდარიყო. ცირკის სიყვარული, ისევე რო-გორც პონიზე ოცნება და ზამბახის ყვავი-ლისადმი შეუწველებელი ინტერესი მწერლის ბავშვობაში იღებს სათავეს და მისი შინაგა-ნი ბუნების გამოვლენაა. ცირკის ცხოვრება-ში მწერალს შეუჩერებელი მოძრაობა და ად-გილიდან ადგილზე ხეტიალი იზიდავს. მას ხიბლავს ცირკის მსახიობთა უსაზღვრო თავი-სუფლება, გარდაქმნის უნარი, ჩვეული დადგენილი ფორმების უარყოფა, მომხვეჭე-ლობისა და გამდიდრების სურვილის სრული უქონლობა, შეუჩერებელი დამოკიდებულება ობივატელის ყოფისადმი — ერთი სიტყვით, ცირკის სამყაროს დინამიური და რევოლუ-ციური საწყისი, წვრილი ბიურგერობის სტა-ტიკურ და კონსერვატულ ტენდენციებს რომ უბირისპირდება. ალბათ ამიტომ წაუწერია მწერალს თავისი გარკვეული ხელით ცხენის უნაგირზე ბედუნთა ერთი გამონათქვამი, მის სტუმარს რომ აცბუნებს და ჩვეულ ზნეობრივ წარმოდგენას უშბილებს ხოლმე: „ჩვენ აქ ყოფნის უფლება გვაქვს. რად-განაც ცხენის ქურდები ვართ. ასე მოტ-ლე ხელები რომ არ გვქონდეს, უფრო-მეტ ცხენს მოვიპარავდით“.

თანამედროვე ცირკის მსახიობებში, თოვზე მოცვევავე ჯამბაზებსა და დაშნის მყლა-პვლებში შტრიტმატერისთვის შუა სეუკუ-ნების მოხეტიალე მსახიობები, გოლიარდე-ბი და შბილმანები განაგრძობენ არსებობას, ქუჩა-ქუჩა ჯაჭვით დათვს რომ დაატარებ-დნენ და ბაზარში არეულ ჭრელ ხალხს არ-



თობდნენ ათასნაირი მონაგონი ამბებითა და  
სარაი-დო თავგადასაცემებით.

ხალხურობა, საბაზრო მთქმელებისა და  
ენაკვიმ-ტი ოსუნჯების ეს სიყვარული არა  
მატო შტრიტმატერის ნაწარმოებებში,  
მისი ენის მიქეფარე ხალხურ იუმორსა და  
გამჭირდავ ირონიაში ვლინდება, რაც არა-  
ერთელ აღუნიშნავთ ლიტერატურის კრი-  
ტიკოსებს, არამედ თვით თხრობის ხასი-  
ათსაც განაპირობებს. მწერალი ისწრაფვის  
შეინარჩუნოს შუა საუკუნეების მიმის გად-  
მოცემის ხერხები, მსმენელებთან უშუალო  
დამოკიდებულება და მისი კილო. ამიტომაც  
თავის ნოთხრობებს კი არ წერს, არამედ ჰყვე-  
ბა; მონაყოლს კი პატარა დიქტოფონი იწერს,  
შულცენჰოფის ფიჭვნარსა და მურყნარში  
სწერლობისას მუდამ თან რომ დააქვს მწე-  
რალს.

გარდა ამისა ცირკი ერვინ შტრიტმატერს  
თავისი არტისტიზმითა და გაბედულებითაც  
იზიდავს, ზოგჯერ რომ სიცოცხლის ფასადაც  
შეიძლება დაუჯდეს კაცს. ეს კი ისეთი თვი-  
სებებია, ვერც ერთი ხელოვნება რომ ვერ  
იტყვის უარს. შტრიტმატერის უკანასკნელი  
ხანის პროზაშიაც სწორედ ეს იგრძნობა  
ხშირად.

ვინ იცის, ეგების მწერალი ოდესღაც, ბავ-  
შვობაში, ნიდერლანდებში ცხოვრებისას პაპა  
კულკას გვერდზე იჯდა საცირკო კარავში და  
ლოყებულეწილი აღზნებულად ადევნებდა  
თვალს წარმოდგენას. ალბათ რამდენჯერ  
უნატრია საცირკო ატმოსფეროთი, მსახიობთა  
ბრჭყვიალა ტანსაცმლით, მუსიკის გრიალითა  
და აკრობატების მოხდენილი გამოსასაღმე-  
ბელი მიმოხვრით მოჯადოებულს ასეთივე  
ბრწყინვალე არტისტი გამოსულიყო და არ  
იცოდა, რომ მსახიობობა უკვე იმთავითვე  
ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი. შემ-  
დგომში, რა ხელობისთვისაც არ უნდა მოეკი-  
და ხელი, იგი მუდამ ავლენდა მისი ზუნე-  
ბისათვის ჩვეულ არტისტიზმს. აი, როგორ  
იხსენებს უკანასკნელი დროის ერთ ავტობი-  
ოგრაფიულ ნოთ'რობაში მწერალი თავისი  
ცხოვრების ერთ ხანას: „ასე რიგად ვემსახუ-  
რებოდი კაფეს ტუმრებს და უფლებაც მქონ-  
და ჩემი წინდახედულობის, სიმარჯვისა და  
სიმარდისთვის ათი პროცენტი წამებატებინა  
ჩემს გასამრჯელოზე. ასე მეგონა, ცირკის  
მსახიობი ეყავი, დღისით რომ საჯინიბოში  
უმუშავნია, საღამოს კი გაჩახჩახებულ დარ-  
ბაში დიდად პატივცემული საზოგადოე-  
ბის წინაშე გამოყავს ცხოველები (ჩემი  
ცხოველები კარაქის კრემისგან დამზადებული

გედები და ბაყაყები გახლდათ), მერე ჯამით  
ხელში შემოუვლის მაყურებელს და კუთვნილ  
გასამრჯელოს მოიმკის.

და დღესაც, აქ, სამყაროსაგან მოწყვეტილ  
ალაგას, ეწუფრი ტბებისა და ნათელი ტყე-  
ების მიღმა მწერალი თავის მკითხველ საზო-  
გადოებას ურთულესი ნაქტომებითა და სა-  
ლტომორტალებით ხიბლავს, ამან კი, ვინ  
იცის, საცირკო ხელოვნების მოყვარულთა და  
ავტოგრაფებზე მონადირეთა მოძალეზაც კი  
გამოიწვიოს შტრიტმატერის მეგობარსა და  
ორეულ ერვინ გემონეკთან\*.

როგორც ჩანს, თვით დიდმა ალბერტიმაც  
იგრძნო სულთა ნათესაობა, როდესაც დამშ-  
ვიდობებისას ერვინ შტრიტმატერს გრაფინი  
და ჭიქები უძღვნა, ცალუღში თავგამოყოფი-  
ლი ცხენები რომაა გამოსახული. ის რომ ერ-  
თი დღით ადრე შტრიტმატერების ახალი სახ-  
ლის ჭერის დახურვის ზეიმს დასწრებოდა  
და ენახა, თუ როგორ ართობდა მწერალი  
ლუდით შეზარხოშებულ ხელოსნებს ნაირ-  
ნაირი ოინებითა და ჯამბაზური ხერხებით,  
საბოლოოდ დარწმუნდებოდა, რომ არ შემც-  
დარა და რომ მის წინ ჭეშმარიტი თვალთ-  
მაქცი და ოინბაზი იდგა.

ისევე, როგორც ცირკის მსახიობი. თვით  
მწერალიც გამუდმებით გზად იმყოფება. და  
თუ მე დღეს ვცადე მისი ცხოვრების ერთი  
სადგურის მინიშნება, სულაც არა ვარ დარ-  
წმუნებული, რომ მან უკვე გუშინ არ მია-  
ტოვა იგი და რომ შულცენჰოფში ხელმეო-  
რედ ჩასვლისას მხოლოდ აფიშები (შტრიტ-  
მატერის ნაწარმოებები) არ შემრჩება ხელთ,  
ძველსა და კარგა ხნის წინანდელ პროგრამას  
რომ იუწყება.

ყოველდღიური ცხოვრებიდან მწერალი  
უხილავ და ზედროით სამყაროში მოგზაუ-  
რობს; იგი განეყოფება თავის პიროვნებას  
და სამყაროს მთლიანობისაკენ ისწრაფვის,  
რისი მონუსხვაც ხელოვნების ძალითაა მხო-  
ლოდ შესაძლებელი. „ვფიქრობ, ასაკის მოძა-  
ლებასთან ერთად, — წერს შტრიტმატერი  
ერთ-ერთ წერილში, — ადამიანი სულ უფ-

\* გერმანიის დემოკრატიული რესპუბლი-  
კის პოპულარული მსახიობი ერვინ გემო-  
ნეკი გარეგნულად ძლიერ ჰგავს ერვინ  
შტრიტმატერს. ამიტომ ხშირად ქუჩაში  
გამვლელებს შტრიტმატერი გემონეკი ჰგონი-  
ათ და ავტოგრაფს სთხოვენ ხოლმე მას. ეს  
ამბავი მწერალს აღწერილი აქვს პატარა მო-  
თხრობაში „მე და გემონეკი“ (იხ. „ცისკა-  
რი“, 1969, № 3; გვ. 112).



რო და უფრო იპირება თავის საქმეში, სულ უფრო ერთიანდება ამ საქმესთან და, მიტომაც ნელ-ნელა უჩინარდება კიდევ გარესამყაროსათვის“. ანონიმურობის ის ელფერი, მწერლის უკანასკნელი დროის შემოქმედებას რომ გადაჰკრავს, იგივე ბუნების ანონიმურობაა. ამ კაცმა ბუნების პირველქმნილობა აღმოაჩინა, მისი უმანკოება და უბიწობა, მან საკუთარი წინა ისტორიული წარსული გაიხსენა და ახლა დეკარგული ნდობის უკან დაბრუნებას ცდილობს. მწერალი ბუნებაში არსებულ უჩინარ კავშირებსა და მოვლენათა შერწყმას აკვირდება, იგი იმ პირველ ჰარმონიაში ცდილობს ჩაბმას, საიდანაც ადამიანი კაცობრიობის მრავალსაუკუნოვანმა განვითარებამ ამოაგდო. მას უნდა აღადგინოს საგნებისა და მოვლენებისადმი ის დამოკიდებულება, რაც ადამიანმა უკანასკნელ საუკუნეებში სრულიად დაჰკარგა, მას უნდა შეეცნოს სამყაროში არსებული ის მრავალგვარი ტალღები და რხევები, ადამიანის ამათუ იმ მოქმედებასა და გამონათქვამსაც რომ განაპირობებენ.

იენისის ერთ ნისლიან დღეს, როდესაც ხალკამ ქვიშნარ ბექობზე ამომაჭენა და მასპინძელმა გაქაფული ფაშატი ჩამომართვა, საუბარი იმ უჩინარ კავშირზე ჩამოვადგეთ, მხედარს და ცხენს შორის რომ არსებობს ძველთაგანვე. მე ვთქვი, ცხენი მშვენივრად გრძნობს-მეთქი ალბათ თავის მხედარს და იმის შესაბამისად იქცევა, თუ ვინ და რა გუნების კაცი უზის ზურგზე. მწერალი დამეთანხმა და თავისი არაბული ცხენის მაგალითი მომიყვანა: ვიდრე სადავეს მოსწევდო და დეზით ანიშნებდო, საით წავიდეს, რაღაც გუმანით თვითონვე იგებს ამას შენგან და სასურველ გზას დაადგებაო. პირუტყვი მუდამ შეიგრძნობს ადამიანისათვის აღუქმელ მრავალგვარ ტალღას, გაფაციცებით აღიქვამს გარემოს და არ გამოეპარება სულ მცირე ცვლილება თუ მომავალი გარდაქმნის მაუწყებელი ის ნიშანი, ვერც ერთი ტექნიკური ხელსაწყო რომ ვერ აღნუსხავს. მრავალი ათასი წლის წინ, როდესაც ადამიანი თავის გუმანს მისდევდა, ჯერ კიდევ არ გამოყოფოდა ბუნებას და თავისი ალლოთი ცხოვრობდა, მაშინ მასაც გააჩნდა ეს თვისებები. მაგრამ შემდგომ, გონების გაძლიერებასთან ერთად, როდესაც იგი დუპირისპირდა ბუნებას და ცალკეული გრძნობისმიერი ორგანოების გასამახვილებელი ნაირ-ნაირი ეშმაკური ხელსაწყოები გამოიგონა, მაშინ მან დაჰკარგა ეს უნარი. ერვინ შტრიტ-

მატერი სწორედ ადამიანის ამ დაკარგული თვისებების უკან დაბრუნებას ცდილობს, იგი ცდილობს ბუნების იდუმალებაში შეაღწიოს და გარკვეულად შეერწყას კიდევ მას. მას თვალი და ყური ბუნების საგნებისა და მოვლენებისაკენ აქვს მიპყრობილი, ხოლო როცა დიდხანს აკვირდები საგანს, როცა მოთმინებით ხარ მიყურადებული, მაშინ ის ენას იღვამს და თავის ამბავს გიყვება. მწერალი აკვირდება, როგორ ადის ხის წვენი ფესვებიდან მაღლა ტოტებისაკენ, როგორ იცვლება ხის ქერქი, შეუმჩნევლად იბერება კვირტები და შეცრად იფეთქებს ყვავილები. ერთხელ რაინსბერგის პარკში სეირნობისას შტრიტმატერის ინდიელმა მთარგმნელმა ხეების ასაკი იკითხა. ეს შეკითხვა სულაც არ გაკვირვებია მწერალს. უფრო მეტიც, იგი ბუნებრივი იყო მისთვის...

ბერტოლტ ბრეჰტმა თქვა: შტრიტმატერი ხეებს ადამიანებივით ეპყრობა და, როგორც ადამიანებს, ისე წარმოუდგენსო მკითხველს. მაგრამ მწერალი მხოლოდ ხეებს როდი ეკიდება ადამიანივით, არამედ ბალახებს, ჩირგვებს, ხოჭოებს, თევზებს და ფრინველებსაც, კარტოფილის მინდვრებსა და გვიძრის ფურცლებსაც. სამაგიეროდ, ყველაფერი ეს უდიდეს საიდუმლოებას უმქლავნებს მას,— ცისა და მიწის ჰარმონიის საიდუმლოს, საგნებისა და მოვლენების ურთიერთკავშირისა და განპირობებულობის კანონს. „სამყარო გამუდმებული მდინარეა“. ეს ცოდნა განაპირობებს სამყაროს ერთიან შეგრძნებასა და კომპლექსური ხედვის უნარს, რაც მოვლენებს მათ მრავალგვარ კავშირებში, გარესამყაროსთან ურთიერთმიმართებასა და გამუდმებულ განახლება-ცვალებალობაში ჭვრეტს. მიტომაც ხედავს მწერალი ყველა მოვლენაში წინამავალის შედეგსა და მომავლის ჩანასახს: დაცვენილი ფოთოლი, „ოდესღაც რომ ხის ფილტვი იყო“ — „ფესვების სასუქია“, „ტოტებზე დარჩენილი იარა“ — მომავალი კვირტი. მწერალი თავის თავსაც ამ მარადიული პროცესის მონაწილედ აღიქვამს „როდესაც თავს „მიწის ნაწილად“ შეიგრძნობს, „მიწის კოლბოხზე“ რომ ამხედრებულა და „მიწისგანვე შექმნილი ტვინით“ იმის გარკვევა ცდილობს, ხვალ არარაობად ყოფნა მოელის თუ ისევ მიწად იქცევა და კვლავაც იტრიალებს სამყაროში.

„ტბის ირგვლივ ჭაობებია... მაგრამ შიგნის წყალი არაა, საუკუნეების წინათ რომ იდგა, რადგან ყოველივე იცვლება და გარდაიქმნება, იქცევა ღრუბლად, იქცევა წვიმად, თოვლად,



ნისლად ან წყაროს, მდინარისა თუ ზღვის სახეს იღებს. ჩვენ ყველანი ვიცვლებით და გარდავიქმნებით...“ თუკი ჩავუკვირდებით ამ ფიქრებში, შულცენჰოფის სავანეში განმარტოებულ კაცს რომ აღვლევს, შეიძლება აღმოსავლური ფესვებიც ამოვიცნოთ. ეს ხომ ძველი ინდოეთის ერთ-ერთი ძირითადი დებულებაა სამყაროს ერთიანობისა და მარადიული წრებრუნვის შესახებ. ამიტომაც შემთხვევითი როდია, რომ თავორსა და ტოლსტოის შტრიტმატერი თავის უსაყვარლეს მწერლებად თვლის. ხოლო ბერლინის სახლის ბიბლიოთეკას ბუდას „ტქმათა“ საუცხოო გამოცემა ამშვენებს (მახსენდება, საქართველოში მოგზაურობისას შტრიტმატერის განუყრელ თანამგზავრს ლაო-ძეს პატარა ჯიბის გამოცემა წარმოადგენდა). „დიდი ერთი“, იტყვიან ინდოელები და ამით სამყაროს შექმნის საოცრებას გულისხმობენ. ერვინ შტრიტმატერი ხელახლა აღმოაჩენს ამ ჭეშმარიტებას: „საოცრება რიცხვ ერთთანაა დაკავშირებული“. ერთადერთი საოცრება, რასაც მწერალი ირგვლივ უტრიალებს, რის ამოცნობასაც ცდილობს, არის სამყარო — ერთჯერადი და განუმეორებელი და აგრეთვე თვითონ იგი — ასევე ქვეყნად მხოლოდ ერთხელ მოვლენილი და ამიტომ განუმეორებელიც. ვინაიდან მაღალ ტყეებსა და „წყლის მინდვრებს“ შორის ცხენით სეირნობის დროს იგი ობობას ქსელისაგან მოქსოვილ ნაზ იალქნებსა და გურდლლის ბეწვისგან შეთხზულ ბუდეებს კი არ აღმოაჩენს მხოლოდ, არამედ თავის თავსაც. მაგრამ ის, რასაც იგი მიაკვლევს, არასდროს არაა დასრულებული ჭეშმარიტება, არამედ უფრო შეკითხვაა და გამოცანა. ასეთი მოუხელებელი ვამოცანაა მისთვის სამყარო და ადამიანიც: „ყოველი ადამიანი, — ასე იგონებს მწერალი თავის ბავშვობას, — ჩემთვის ერთჯერად რასმე და გამოცანას წარმოადგენდა. უფრო გვიან, ცხოვრების ორომტრიალითა და ცვალებადობით დაბლაგვებულს, იგი ნაკლებად საოცარი მეჩვენებოდა. ერთი პირობა იმასაც კი ვფიქრობდი, ყველა ადამიანი ერთ თარგზე ამეთქი გამოჭრილი. ხოლო დღეს ასე მგონია, რომ სიყმაწვილეში უფრო სწორი ვიყავი“.

დრო ქრება — ხანში შესული შტრიტმატერის მსოფლშეგრძნება ზამბახების ბაღში მოფუსფუსე პატარა ბიჭის აღქმას ემთხვევა. როგორც უწინ, იგი ახლაც ხეებისა და ზამბახების ნათესავად, სამყაროს სისხლხორცად გრძნობს თავს — იმად, რაც მის დათა-

ვად არსებობს და არავითარ დასაბუთებას არ საჭიროებს.

შტრიტმატერის ბოლო წლების პროზა მისი მსოფლმხედველობის გამომხატველია. იგი ცდილობს სამყაროს მრავალფეროვნებისა და მრავალწახნაგოვნების სიტყვაში შემოტყუებას, მათ მონუსხვას, სამყაროს მარადიული ფერისცვალების წამიერ გაქვავებას სიტყვის ძალით. ავტორი დიდხანს არ ჩერდება თხრობის საგანზე, როგორც ამას ტურგენევი ან შტიფტერი აკეთებდნენ. ის მას დაწვრილებით არ აღწერს, არ გვიჩვენებს სხვა საგნებისაგან მოწყვეტით, თავისთავად და დამოუკიდებლად, არამედ ყოველთვის მრავალმხრივ კავშირში წარმოგვიდგენს. მის პროზაში რომანული აწმყოდან უთვალავი ხიდია გადებული დღევანდელ დღემდე, შორეულ მოძავალსა თუ წარსულში, ისე რომ ყოველი თემა და მოტივი მთელი სისავსითა და განვითარების უნარით წარმოგვიდგება თვალწინ. აქ დარღვეულია პროზის როგორც დროითი, ასევე სივრცისეული საზღვრები. მწერალი მთელ სამყაროს ითრევს თავის შემოქმედებაში და რასაც არ უნდა მოგვითხრობდეს, მკითხველს ყოველთვის „დიდი ერთი“, სამყაროს იღუმალი ერთიანობა წარმოუდგება თვალწინ. და ყველა გზას მწერლის უკანასკნელი დროის შემოქმედებაში ამ იღუმალებისაკენ მივყავართ.

„სასწაულმოქმედის“ მეორე წიგნში, დიდი ხნის ლოდინისა და თავის პატარა ძმებზე — მცირე მოცულობის მოთხრობებზე — ეჭვიანობის შემდეგ შექმნილ რომანში მოყოლილია სტანისლაუს ბიუდნერის ამბავი, ვინც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საბერძნეთიდან ისევ გერმანიაში, რაინის ნაპირებზე ბრუნდება. ხოლო რაკი სიტყვა რაინზე ჩამოვარდება და იგი ღროვებით წამყვანი მოტივის ფუნქციასაც იღებს თავის თავზე, ავტორი მას წარმოგვიდგენს პრიზმად, სადაც სინამდვილის სრულიად განსხვავებული ასპექტები გარდატყდებიან და გარკვეული კუთხით დანახულ სამყაროს სურათს ქმნიან. რაინი ახლა უბრალოდ მდინარე კი აღარ არის, რომლის ნაპირზეც ნაწარმოების გმირი საყვარელ ქალს ხვდება, არამედ ეს არის ნიბელუნგებისა და ლორელაის ადგილსამყოფელი. არის საუკეთესო ღვინით განთქმული მხარის დამწყურებელი, ამავე დროს გერმანია-საფრანგეთის განხეთქილებათა მიზეზიც და გერმანელთა ნაციონალური გაშმაგების სიმბოლოც. რაინი ყოველი გერმანელის სისხლშია გამჯდარი და სრულიად ბუნებრივად ათას-



გვარ ასოციაციებს იწვევს მის წარმოდგენაში, გერმანელთა მთელ ისტორიას აირეკლავს, თუმცაღა ამავე დროს ისიც ყველა სხვა მდინარესა და ნაკადის დარად კვერცხისოდენა წიალიდან იღებს სათავეს.

ერვინ შტრიტმატერის გვიანდელი პროზა ავტორის ინტენსიური ცხოვრებისა და სიცოცხლის გააზრების შეუნელებელი პროცესის მანიფესტაციას წარმოადგენს. მისი სათავე გახლავთ მწერლის სწრაფვა, სხვებსაც გაუზიაროს თავისი სიხარული, აღმოჩენა და ზეიმი. ვინაიდან მას ვერ წარმოუდგენია, ისე განიცადოს ცვარიანი დილა ანდა წყნარი მთვარიანი ღამე, რომ თავისი სიხარული სხვასაც არ უწილადოს. ხოლო რომანი, მოთხრობა და თუ გინდათ სულ უბრალო ჩანაწერიც აათქვამს და აასკეცებს ამ სიხარულს და სხვებსაც აძლევს შესაძლებლობას დატკბნენ ავტორის მიერ განცდილი მშვენიერებით.

ერვინ შტრიტმატერის პროზა, ბერტოლტ ბრეჰტის ენით რომ ვთქვათ, მკითხველში „შემეცნების ხალისს“ ჰბადებს, აღმოჩენისა და ჯერ კიდევ შეუცნობელ მიზნებისა, ან უბიძგებს, უღვიძებს სიფხიზლესა და ყურადღე-

ბას სამყაროს განახლება-ცვალებალობისადმი, ნაკლებად ხილული კავშირისადმი ბუნებასა და საზოგადოებას შორის...

გადავავლე თვალი დაწერილს და ისევ უკმაყოფილებამ შემიპყრო. კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რაოდენ ძნელია დახატო მწერლის თუნდაც მიახლოებითი პორტრეტი, უჩვენო მკითხველს მისი პიროვნების მრავალფეროვნება და მრავალწახნაგოვნება. მე მხოლოდ ერთი მხარის მინიშნება შევძელი, მაგრამ ჭეშმარიტება ხომ ყოველთვის ორმხრივია, დიალექტიკურია, არის თეთრი და შავი, დღე და ღამე, კაცი და ქალი; იგი ორი პოლუსისაგან შედგება და სწორედ ამ ორი პოლუსს შორის არსებული ძაბვიდან „იშვება ყოველი სიცოცხლე“.

და თუ მე მაინც დავიტოვე ეს ჩანაწერები და მკითხველსაც კი ვთავაზობ მათ, — მხოლოდ და მხოლოდ იმ იმედით, რომ ეს მცირე მონახაზიც ერვინ შტრიტმატერის პორტრეტისა, რაოდენ არასრულიც არ უნდა იყოს იგი, მკითხველს მაინც სიცოცხლის მოტრფივალე ადამიანის სახეს წარმოუდგენს.





ნგუენ ძუს პოემის („გაწამებული სულის გონება“) მიხედვით.

ძნელად თუ იპოვნება ისეთი ვიეტნამელი, რომელმაც ზეპირად არ იცოდეს ეს ნაწარმოები. ამ პოემის ცალკეული სტროფებში უკვე დიდი ხანია ვიეტნამში ხატოვან გამოთქმებად იქცა.

სიუჟეტი პოემისა ამდაგვარია:

პიესას მთავარი გმირის სახელი ჰქვია. ლამაზსა და გონიერ ქალს კიეუს უყვარდა ჭაბუკი კიმ ჩანგი. თავისი მამა რომ დაეხსნა ულმობელი მანდარინისაგან, მან თავი გასწირა და ცოლად გაჰყვა მდიდარ უცხოელს. უსაზღვრო იყო მისი ტანჯვა, ვერც საროსკიბოს ასცდა. იქ 15 წელიწადი დაჰყო. წინააღმდეგობამ ღირსებასა და უწყალო ბედს შორის, რის მორჩილებასაც უქადაგებდა ქალს რელიგიური მორალი, წარმოშვა ამ ისტორიული ნაწარმოების დრამატიზმი. XVIII საუკუნეში შექმნილ ამ პოემას დღესაც ცოცხალი ინტერესით შეხვდნენ ვიეტნამელები.

## დ'არტანიანის უკვდავი სახე

ლიტერატურული გმირებიდან პოპულარობით ძნელად თუ ვინმე შეედრება ცნობილ გასკონელ მუშეკეტერს დ'არტანიანს. ოღონდაც ძალზე ცოტამ თუ იცის, რომ სამეფო მუშეკეტერების ამ ხალისიანსა და მამაც კაპიტანს ცხოვრებაში ჰყავდა რეალური პროტოტიპი შარლ დე ბატც კასტელმორ დ'არტანიანის სახით. იგი სინამდვილეში მსახურობდა მუშეკეტერად საფრანგეთის მეფის კარზე და გამოირჩეოდა არნახული მამაცობით.

გრაფი შარლ დე ბატც კასტელმორი ცხოვრობდა 300 წლის უკან. იგი დაიღუპა ჰოლანდიის ქალაქ მანსტრისტის ალყის დროს.

სწორედ ეს დ'არტანიანი გამოიხმო ჩრდილთა ქვეყნიდან დიუმა-მამამ და უკვდავჰყო.

ამას წინათ ქალაქ მანსტრისტში შედგა

## უკვდავი შედეგრი

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის თეატრალურმა ჯგუფმა „კაი ლიუნგი“ („განახლებული თეატრი“) დადგა სპექტაკლი ვიეტნამური ლიტერატურის კლასიკოსის



სადღესასწაულო ცერემონია, რომელიც მიემდგვნა რეალური დ'არტანიანის ხსოვნას.

ქალაქის ეკლესიაში მესა გადაიხადეს და გრაფის შთამომავლებმა ქალაქის პარკში გვირგვინი დასდეს მისი ხსოვნის აღსანიშნავად.

## „ჩვენ გასართობი ლიტერატურის წინააღმდეგნი ვართ.“

შვედი მწერალი პერ ვალიო, ავტორი შესანიშნავი ნაწარმოებისა „№ განყოფილების დაღუპვა“, რომელიც ფანტასტიკური და დეტექტიური ჟანრითაა დაწერილი, ცნობილი გახლავთ მთელ მსოფლიოში. მისი ნაწერები ითარგმნა რუსულადაც.

პერ ვალიოს წიქსს, მაი შიოკალთან თანავტორობით რომ შეიქმნა („მოცინარი პოლიცია“), ამერიკაში ედგარ პოს სახელობის პრემია მიენიჭა.

ამჟამად პერ ვალიო და მისი თანავტორი ყველაზე პოპულარულნი არიან შვეციაში დეტექტივის ჟანრში. რამ განაპირობა მათი წარმატება? რა განასხვავებს მათ მიერ დაწერილ წიგნებს დასავლეთში აგრე რიგად გავრცელებული ლიტერატურისაგან?

დეტექტივისტები წმინდა ბურჟუაზიულ მოვლენას წარმოადგენენ, — გაენდო პერ ვალიო უურნალ „ფოლკეტ და ბილდის“ კორესპონდენტს. — ისინი ხატავენ ბურჟუაზიულ სამყაროს, ჰყავთ გარკვეული წრე მკითხველებისა, რომელთაც აწყობთ გასართობი ლიტერატურა — ეს შეეფარდება მათ მოთხოვნებსა და მათ გემოვნებას. ჩვენ ტრადიციას გვერდს ვუქცევთ და ვცდილობთ შევქმნათ ისეთი ლიტერატურა, სერიოზული სოციალური დატვირთვა რომ ექნება.

ამ ავტორების დამსახურება ის არის, რომ ისინი ინარჩუნებენ ტრადიციულ კლასიკურ სიუჟეტს, ამავე დროს ეხებიან თანამედროვე შვედეთის პრობლემებს და აღწევენ სოციალურ განზოგადოებებს.

მათი ყოველი წიგნი, იქნება იგი 1972 წელს გამოცემული პირველი წიგნი „როზანა“, თუ ბოლო — „უკანასკნელი ოთახი“, ადასტურებს, რომ დეტექტიური ჟანრი სასაშუალებას იძლევა წამოვჭრათ სადღესასწაულო მწვავე და აქტუალური პრობლემები.



**ჰალდოურ სტეფანსონი**— ისლანდიელი მწერალი, დაიბადა 1892 წელს, მოხელის ოჯახში.

მთელი თავისი ცხოვრება მწერალი სტამბასა და ბანკში მუშაობდა.

მისი პირველი მოთხრობები 30-იან წლებში გამოქვეყნდა. მან შექმნა მრავალი მცირე მოცულობის მოთხრობა და ორი სქელტანიანი რომანი.

ისლანდიელი ცნობილი ლიტერატურათმცოდნის კრისტინ ანდერსონის სიტყვებით რომ ვთქვათ, ჰ. სტეფანსონი უპირველესად შემოქმედი და მხატვარია.

1960 წ. ჰ. სტეფანსონის მოთხრობების მცირე კრებული გამოიცა რუსულ ენაზე, როდესაც მწერალი სტუმრად იყო ჩამოსული მოსკოვს, დიდი ლენინის დაბადებიდან 90-წლისთავზე.

ქართულად ჰალდოურ სტეფანსონის ნაწარმოები პირველად იბეჭდება.



მოჰამედ ეთემად-ზედე ბეჰაზინი — თანამედროვე სპარსული ლიტერატურის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი.

ლია. დაიბადა 1914 წელს ქ. რეშთში. ანგენოს უბრალო ირანელი მშრომელის აცკარგი — ეს არის ბეჰაზინის შემოქმედების ლეიტმოტივი.

მწერალი დიდი გრძნობითა და გულისტკივილით აღწერს ირანის ცხოვრების მძიმე სურათებს. ქადაგებს ჰუმანიზმს, თავისუფლებასა და თანასწორობას. ბეჰაზინი ირანში ითვლება მინიატურული ლირიკული მოთხრობის ჟანრის ფუძემდებლად. თავის მინიატურებში მწერალი ალგორითული ფორმით უმღერის სამშობლოს თავისუფლებას, ბედნიერ მომავალს.

1956 წელს თეირანში გამოვიდა ბეჰაზინის კრებული „ნაქარგები აბრეშუმზე“. 1961 წელს ეს კრებული ითარგმნა რუსულ ენაზე.

ბეჰაზინი დღესაც ნაყოფიერ შემოქმედებით მოღვაწეობას ეწევა.



ვიტესლავ ნეზვალი — ჩეხი პოეტი, დაიბადა 1900 წელს, მორავიაში. ლიტერატურული მოღვაწეობა დაიწყო 1920 წელს. თავისი პოეზიით იგი აგრძელებს ჩეხური



სიმბოლიზმის ხაზს. მის შემოქმედებაში ნათელი გამოხატულება ჰპოვა ე. წ. „წმინდა პოეზიამ“.

დროთა განმავლობაში, როცა კაპიტალიზმი დამკვიდრდა, ნეზვალის პოეზიამ სინამდვილიდან გაქცევის ნაცვლად არსებული საზოგადოებრივი წესწყობილებისა და მაშინდელი საზოგადოებრივი მორალის წინააღმდეგ აღმართა მახვილი. ამ თემაზე მან შექმნა პოემა „ედისონი“ (1931 წელი). უკანასკნელი პერიოდის შემოქმედებამ ნეზვალი ევროპის უდიდეს რევოლუციონერ პოეტთა რიგებში ჩააყენა.

ვიტესლავ ნეზვალი გარდაიცვალა 1958 წელს.



ქსავერი პრუშინსკი (1907—1950)—პოლონელი პროზაიკოსი და პუბლიცისტი. სწავლობდა კრაკოვის იაგელონთა უნივერსიტეტში. 30-იან წლებში ჟურნალისტობდა. 1938 წელს გამოსცა რეპორტაჟების წიგნი „წითელ ესპანეთში“. ომის შემდგომ წლებში იმყოფებოდა დიპლომატურ სამსახურში. წერდა მოთხრობებსა და პუბლიცისტურ სტატიებს. მის კალამს ეკუთვნის მოთხრობების კრებულები: „ცამეტი მოთხრობა“ (1946) და „გორდა მეშპედიდან“ (1948).

მოთხრობა „მებუკე სამარყანდში“ პირველად გამოქვეყნდა 1945 წელს.



ჟან გრივა (ფოლმანი)—ლატვიელი მწერალი. დაიბადა 1910 წელს მოჯამაგირის ოჯახში. 1930 წლიდან იგი იატაკქვეშა კომკავშირული ორგანიზაციისა და მწერალთა და ჟურნალისტთა არალეგალური ორგანიზაციის წევრია. აქტიურად იბრძვის ლატვიის განთავისუფლებისათვის ფაშისტური რეჟიმისაგან. 1937 წლის 5 ივნისს მეგობართან ერთად გრივა საზღვარგარეთული პასპორტით პარიზში გაემგზავრა, იქიდან კი ესპანეთში გადავიდა.

გრივა სხვა ლატვიელებთან ერთად ინტერნაციონალურ ბრიგადაში ჩაირიცხა და მრავალ გააფთრებულ ბრძოლაში მიიღო მონაწილეობა. ბოლოს საკონცენტრაციო ბანაკშიც მოხვდა საფრანგეთში. იქიდან საბჭოთა კავშირმა გამოიხსნა, როცა

საბჭოთა ქვეყანა მისი სამშობლოც გახდა. 1941 წლის ზაფხულში გრივა ლატვიაში დაბრუნდა. დიდი სამამულო ომის დაწყებისთანავე იგი კვლავ ფრონტზეა. გრივა — მწერალი, მშვიდობის საერთაშორისო საბჭოს წევრი, მშვიდობის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე, დღესაც დაუღლელად იბრძვის ხალხთა მშვიდობისა და ბედნიერებისათვის.

გრივა მრავალი წიგნის ავტორია. მისი მოთხრობები, პიესები და რომანები კონკრეტულ ცხოვრებისეულ მასალაზეა აგებული. ესპანეთის ქარიშხლიან დღეებზე მწერალმა ბევრი მოთხრობა დაწერა, ბოლოს კი — გრცელი რომანი „სიყვარული და სიძულვილი“. მისი ნაწარმოებები მსოფლიოს ბევრ ენაზეა თარგმნილი. ქართულად ეს მისი მეოთხე მოთხრობაა. „შავი ალმასი“ ალმანახმა „ცისარტყელამ“ ქართველ მკითხველს ამ სამიოდე წლის წინათ გააცნო.



ედგარ ალან პო (1809—1849)—დიდი ამერიკელი მწერალი, შესანიშნავი ლექსების, მოთხრობებისა და სტატიების ავტორი, ითვლება მრავალი ლიტერატურული მიმდინარეობის ფუძემდებლად.

ედგარ პოს შემოქმედებაში განსაკუთრებით აღინიშნება: ლექსები — „ყორანი“, „ულალუმი“, „ზარები“, „ანაბელ ლი“; მოთხრობები — „აშერების სახლის დაცემა“, „უილიამ უილსონი“, „ბრბოის კაცი“, „ოქროს ხოჭო“ და ამათ შორის „ლიგეა“, ზოგ მკვლევართა აზრით, მისი ერთ-ერთი ურთულესი პროზაული ნაწარმოები.

ქართველ მკითხველს საშუალება ჰქონდა გაცნობოდა ედგარ პოს სამ მოთხრობას („მკვლევლობა მორგის ქუჩაზე“, „ოქროს ხოჭო“, „ამონტილიადოს კასრი“) კრებულ „ამერიკული ნოველის“ I ტომში, რომელიც 1967 წელს გამოსცა „საბჭოთა საქართველომ“.



თოლის ფოლადოვი — ტაჯიკი პროზაიკოსი, დაიბადა 1929 წელს. ქ. ლენინაბადში მასწავლებლის ოჯახში. სხვადასხვა დროს იყო მსახიობი, კორექტორი, კორესპონდენტი, ბოლოს ტაჯიკეთის ლიტერატურულ-



საზოგადოებრივი ჟურნალის „შარცი სურხის“ („წითელი აღმოსავლეთი“) პასუხისმგებელი მდივანი და რედაქტორი. იბეჭდება 1946 წლიდან. გამოცემული აქვს ბევრი საინტერესო კრებული: „ჩირადდნები“ (1948), „მოთხრობები“ (1949; 1952), „დიდი გზის დასაწყისი“ (1954) და სხვ.

აქვს საბავშვო მოთხრობების წიგნებიც: „ჩვენი ყიზლადის ბავშვები“ (1950), „ჩემი თიკანი“ (1950) და სხვა.

მწერალს აღიარება მოუპოვა ისეთმა მოთხრობებმა, როგორცაა „ახალგაზრდობა“ (1950) და „ზაფხული“ (1960, ეს მოთხრობები, ისევე როგორც მწერლის ნაწარმოებთაგან უმრავლესნი, ეხებიან თანამედროვეობის აქტუალურ პრობლემებს, ახალგაზრდა კაცის სულიერი ფორმირების საკითხებს.

ნიჭიერი მწერალი დაიღუპა 32 წლის ასაკში 1961 წელს.

**ბონოსკი ფილიპ**—პროგრესული ამერიკელი მწერალი, დაიბადა 1916 წელს მეფოლადის ოჯახში. იგი წარმოშობით ლიტველია. დამთავრებული აქვს ვაშინგტონის პედაგოგიური კოლეჯი. ხელმძღვანელობდა მეფოლადე მუშათა კავშირს. პირველი მოთხრობა „ძმა ბილ მაკკი“ დაწერა 1947 წელს, რუსულად ითარგმნა 1956 წელს. მუშა-ახალგაზრდობის ცხოვრების ამსახველი პირველი რომანი „ალმოდებული ველი“ 1953 წელს დაისტამბა. აშშ-ის მუშათა კლასის ბრძოლას სოციალიზმის იდეის დასაცავად მწერალი გვიხატავს რომანში „ჯადოსნური გვიმრა“. მოთხრობა „ნატვრის ჭა“ დაწერილია 1949 წელს.

□

**სემუელ ბეკეტი** წარმოშობით ირლანდიელია. დაიბადა 1906 წლის 13 აპრილს ფოქსროკში, დუბლინის მახლობლად. „სამების კოლეჯის“ დამთავრების შემდეგ ინგლისური ლიტერატურის კურსს კითხუ-

ლობს პარიზში. ერთხანს ჯოისის პირადი მდივანია. 1937 წლიდან საბოლოოდ მკვიდრდება პარიზში. წერს ფრანგულსა და ინგლისურ ენებზე.

ავტორია პოემისა „ჰოროსკოპი“, ესეებისა მარსელ პრუსტსა და ჯეიმს ჯოისზე, მოთხრობათა („სჯობს მეტი ჩხვლეტა, ვიდრე პანდური“) და ლექსთა („კასტანეტების ექო“) კრებულებისა, რომანებისა „მერფი“, „მოლოი“, „მალონი კვდება“, „უოტი“, „ეს როგორ?“, და პიესებისა „გოდოს მოლოდინში“, „თამაშის დასასრული“, „უკანასკნელი მაგნიტოფირი“, „მოქმედება უსიტყვოდ“, „ო, ბედნიერი დღეები“, „კომედია“ და სხვ.


დღეისათვის ბეკეტი ავანგარდიზმის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელია. ქართულ ენაზე ითარგმნა მისი მხოლოდ ერთი ტრაგიკომედია „გოდოს მოლოდინში“, რომელმაც თავის დროზე ბეკეტს კაპიტალისტური სამყაროს ერთ-ერთი უდიდესი მწერლისა და აბსურდის თეატრის მამამთავრის სახელი მოუტანა. 1969 წელს სემუელ ბეკეტს თავისი დრამატურგიული ნაწარმოებებისათვის ნობელის პრემია მიენიჭა.

რადიოპიესა „ნაკვერჩხლები“ დაწერილია ინგლისურად 1960 წელს. ამ პიესაში ნათლად ჩანს, რარიგ მტკივნეულია ავტორისათვის ავანგარდისტ მწერალთა მიერ ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში წამოჭრილი და დღემდე გადაუჭრელი პრობლემა: ადამიანის არსებობის აბსურდულობა და აბსურდულობის შეგრძნების ტრაგიზმი. „ნაკვერჩხლები“ სასოწარკვეთილი, გრძნობადაცლილი და განწირული ადამიანის მონოლოგია, ადამიანის, რომელიც კი არ ცხოვრობს, არამედ ინერციით განაგრძობს არსებობას, თუმცა არსებობა აღარ ძალუძს, გადაღლილია, გაყინული და გამოფიტული. ამ პიესაში მთავარი პერსონაჟის მორალური დაცლის პროცესი ნაკვერჩხლების თანდათანობით ქრობის შემზარავი სურათის პარალელურად მიმდინარეობს.





# თავისუფალ ღრმს



კ  
რ  
ო  
ს  
3  
ო  
რ  
ი

**ჰორიზონტალურად:** 3. ფალიაშვილის ოპერა. 6. ქიმიური ელემენტი. 7. ოპერა „ფუსტის“ ავტორი. 9. სამხედრო ნაწილი. 11. სამედიცინო დაწესებულება. 12. გალიზიანებაზე ორგანიზმის გამოპასუხება. 13 მთავარი სისხლძარღვი. 17. ქალის ბეწვიანი ყელსახვევი. 18. წისქვილის საფქვილე. 21. წყალმარჩხი ადგილი. 23. ბუნების ძალა. 24. ელდენის არგამტარი. 26. მდინარე ევროპაში. 29. ქვეყანა ევროპაში. 32. მწუხარება. 33. მიწის წიაღიდან გამოსული წყალი. 35. შოტლანდიური ცხენის ჯიში. 36. ადამიანის სხეულის ნაწილი. 37. ორმარცვლიანი მუხლი ლექსში. 38. ქვეწარმავალი. 39. უძველესი ქვეყანა ამიერკავკასიაში. 41. წონის ერთეული. 42 უუფლობო ადამიანი სპარტაში 43 გამონაზამთრი პირუტყვი 44. თვალის გარსი. 47. მეომართა უფროსი ძველ აზიაში. 51. მხატვრულად გაფორმებული შენობის შიდა ნაწილი. 55 ტექსტ-ში მონაკვეთი. 56. ჯილდო დამსახურებისათვის. 57. წონის საზომი ერთეული ძველ საქართველოში. 58. ერთგვარი მწერის სადგომი. 59. ავადმყოფობა. 62. მითიური მრავლისმომთმენი გოლიათი. 64. ქართველი მწერალი. 66. კუნძული ევროპაში. 67. ფართის საზომი ერთეული ზოგიერთ ქვეყანაში. 68. აღმოსავლური სიმებიანი საკრავი. 69. ნახევარკუნძული ევროპაში.

**ვერტიკალურად:** 1. ხაჩატურიანის ბალეტი. 2. პარკოსანი მცენარე. 3. ქვეყანა აფრიკაში. 4. რკინიგზის სადგური ქართლში 5. ხომალდზე ამართული ძელი. 8. გალაქტიონის ადრინდელი ლექსი. 10. ირეალური, არარსებული. 14. ფრანგული ავტომობილის მარკა. 15. მკურნალობის ბერძნული ღმერთ ასკლეპიოსის ქალიშვილი. 16 ქვეყანა ამერიკაში. 17. ხილი. 19. დაწერილი ბგერა. 20. საამშენებლო მასალა. 22. ხელით მოსანიავებელი. 24. ლიტერატურული ნართაული ჟანრი. 25. ოქროს ძველი ფული. 26. ზღაპრული (ეცხლმფრქვეველი) ურჩხული. 27. სათათბირო კრებული რევოლუციამდელ საფრანგეთში. 28 სამართალმცოდნე. 29. ნივთიერებათა შერევა. 30. ჰაერში ორინგილთა შემოვლა. 31. სახელმწიფო ევროპაში. 33. ძვირფასი ხის ჯიში. 34. აირი. 40 თევზის სახეობა. 45. საინჟინრო ნაგებობა ნაოსნობისათვის. 48. სამკუთხედის გვერდის შემერთებელი მონაკვეთი მოპირდაპირე წვეროსთან. 49. ელექტრო ხელსაწყოების ჩასართავ-გამომრთველი. 50 ნიაგი. 52. ქვეყანა ძველ მსოფლიოში. 53. ძალის საზომი ერთეული. 54. ფილო-დალურ საზოგადოებაში კლასის წარმომადგენელი. 59. დიპლომატიურა წარმომადგენლობა. 60. განთიადი. 61. წესი, ჩვეულება. 63. გამარჯვების ბერძნული ქალღმერთი. 65. კარგი ამინდი.



«САУНДЖЕ»

Двухмесячный литературно-художественный альманах  
(на грузинском языке)

№ 1

1 9 7 5

Издательство «Мерани»  
380008. Тбилиси, пр. Руставели, 42.

□ □ □

მთავარი რედაქტორი: კონსტანტინე ლორთქიფანიძე

სარედაქციო კოლეგია: მზინა ბაქრაძე, ბაჩანა ბრეგვაძე, ნანა ღარჩია  
(პასუხისმგებელი მდივანი), ნოდარ ღუმბაძე, მამალი თოდუა, ნოდარ კაკაბაძე,  
კარლო კალაძე, მიხეილ კვესელავა, ჯურაბ კიკნაძე, ვახუშტი კოტეტიშვილი,  
ელგუჯა მალრაძე, ოთარ ნოდია, მორის ფოცხიშვილი, ნიკო უიასაშვილი,  
თამაზ ჩხენკელი, ვახტანგ ჭელიძე.

ყდა მხატვარ სპარტაკ ცინცაძისა. ტექრედაქტორი რევაზ იმნაიშვილი.

□ □

გადაეცა წარმოებას 10/XI-74 წ. ხელმოწერილია და-  
საბეჭდად 30/XII-74 წ. ქალაქის ზომა 70 X 108<sup>1</sup>/<sub>16</sub>.  
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 16,12 ნაბეჭდი თა-  
ბახი 21 შეკვ. 1082 ტირ. 10 000  
ფასი 1 მან.

□

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობა-  
თა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სა-  
ხელმწიფო კომიტეტის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი,  
თბილისი, კამოს ქ. № 18.

Комбинат печати, Государственного комитета Со-  
вета Министров Грузинской ССР по делам изда-  
тельств, полиграфии и книжной торговли. Тбилиси,  
ул. Камо № 18.